


საქართველოს



იმიტანა წმინდა საცემი, დღემდე ბეჭდუდი სიფყვა, ცუდილებით და ჭიბრით ბუბის გატანა ყულა უკადრისდაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ბარასკევი, 2 მთმობერი, 2015 წელი.


№185 (7830)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

„სრუსთავი-2“-მა 6 მილიონი ვერ შეიტყაუნა!

სამართალმა გადაწყვიტა, მართალი სიტყვა უნდა თქვას!



საპროტესტო სახელმწიფოს წინააღმდეგ

ტელეკომპანია „სამართალი“ წილებს დააყაღავს

რომორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ქიბარ ხალვაშის ადვოკატიმა პაატა სალიამ განაცხადა, საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე არსებული მონაცემებით ცნობილი გახდა, რომ იგეგმებოდა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელი ტელეკომპანია „საქართველოს“ წილების გასხვისება. კერძოდ, ადვოკატის თქმით, საჯარო რეესტრში 29 სექტემბერს წარდგენილი ხელშეკრულების შესაბამისად, ძმები ყარამანაშვილები გეგმავენენ ტელეკომპანია „საქართველოში“ მათი წილების დავით კეზერაშვილის ცოლისძმის დიმიტრი ჩიქოვანისთვის გადაცემას.

ადვოკატის შეფასებით, აღნიშნული ფაქტი, ადასტურებს, რომ გრძელდება ფიქტიური გარიგებების ჯაჭვი, რომლის მიზანია დამატებითი ბარებების შექმნა ქიბარ ხალვაშისათვის ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის სამართლებრივი მექანიზმებით დაბრუნების გზაზე.

„მითითებული გარიგება, სავარაუდოდ, რამდენიმე მიზანს ისახავდა: პირველი ეს იყო ეწ. კეთილსინდისიერი შემქნისთვის წილების გადაცემა, ხოლო მეორე და უმთავრესი მიზანი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ფიქტიური ფინანსური ვალდებულებებით დატვირთვა იყო. სასამართლოში ქიბარ ხალვაშის ადვოკატის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სარჩელის დავაყოფილების ალბათობა მართლაც დიდია და, სავარაუდოდ, სწორედ ეს გახდა „რუსთავი-2“-ის დღევანდელი მფლობელების მიერ კიდევ ერთი ფიქტიური გარიგების დადების წინაპირობა. როგორც კი ცნობილი გახდა მოსალოდნელი ფიქტიური გარიგების დადების თაობაზე, ჩვენს მიერ მოთხოვნილ იქნა ტელეკომპანია „საქართველოს“ წილების გასხვისების აკრძალვა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა. შესაბამისად, ამ ეტაპზე არიდებული იქნა „რუსთავი-2“-ისთვის ფიქტიური გარიგებით რამდენიმე მილიონიანი ფინანსური ვალდებულების დაკისრების საფრთხე“, – განაცხადა პაატა სალიამ.

ქაზარაშვილის ნათესავი თურქმა ისაა „რუსთავი-2“-ზე უყვარბული, რომ ექსპლიოინიან ინვესტიციას „ჩუქნის!!!“

„რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებით, მათ მოიზიდეს 6 მილიონი დოლარის ინვესტიცია და ეს ადამიანი არის დავით კეზერაშვილის ნათესავი.

„ბუნებრივია, რომ ყველა ვითარებაში ჩვენ ვიყენებდით, როგორც ყველა ნორმალური და ჯანსაღი ბიზნესი, ბანკს, როგორც დამამარე ფინანსურ ინსტიტუციას. ამის მეშვეობით ჩვენ ვყიდულობდით ტექნიკას. კრედიტების, ოვერდრაფტების მეშვეობით ვფარავდით ხელფასებს, როდესაც ფინანსური სახსრების მოძრაობა იყო შეფერხებული ჩვენი სეზონურობის გამო. ხელისუფლებამ და მის მიერ მოგონილმა პერსონაჟმა, მის მიერ წაქეზებულმა ქიბარ ხალვაშმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩვენ ეს გზა ჩაგვეკეტოდა და ამოგვადგეს ჯანსაღი კონკურენციადან, მათ შორის ჩვენს უშუალო კონკურენტებთან მიმართებით. თუ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა, რომ ეს არის ხელისუფლების თამაში, თუ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა, რომ იქნებ ქიბარ ხალვაში იბრძვის თავისი საკუთრებისთვის, დღეს ხელისუფლებამ ყველა ეს ეჭვი გაფანტა თავისი სამარცხვინო ნაბიჯით. დღეს ხელისუფლებამ შეგვიზღუდა ერთადერთი ალტერნატიული გზა გვეკონდეს დაფინანსება, მაშინ, როდესაც რთული პერიოდები გვიდგას. ეს ერთადერთი გზა არის ინვესტიციების მოზიდვა. ჩვენ მოვიზიდეთ 6 მილიონი დოლარის ინვესტიცია და ვაპირებთ ამ კონტრაქტის გამოქვეყნებას. მოვიზიდეთ ადამიანისგან, რომელიც დიას, არის დავით კეზერაშვილის ნათესავი, მაგრამ ჩვენ უბრალოდ ვერ ვიპოვეთ სხვა ინვესტორი“, – განაცხადა გვარამიამ.

ხელისუფლებას ამ მდგომარეობაში რომ არ ჩაეგდო ტელევიზია.

„უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ დაგვიტოვეს. მოვიზიდეთ ის ინვესტორი, რომელიც წამოვიდა ჩვენ პირობებზე არ ჩარეულიყო სარედაქციო პოლიტიკაში და ბე გადაუხადა საკმაოდ მაღალი საფრთხის ქვეშ მყოფი და დაბალი ლიკვიდურობის ქონებაში. ეს არის წილი „რუსთავი-2“-ში. „რუსთავი-2“-ის წილის გასხვისება არ შეიძლება, შესაძლებელი იყო მხოლოდ „რუსთავი-2“-ის მფლობელი კომპანიის შუშ „საქართველოს“ წილების გასხვისება და ეს მოხდა კანონის სრული მოთხოვნების დაცვით. ამის შედეგად „რუსთავი-2“ მიიღებდა 6-მილიონიან ინვესტიციას, რომელიც არ იქნებოდა არც მისი ვალი, არც მისი პასუხისმგებლობა. იმ ვითარებაშიც კი, თუ ქიბარ ხალვაში მოიგებს სასამართლოს, იგი წაიღებს „რუსთავი-2“-ს, ოღონდ კიდევ უფრო მეტი, 6 მილიონი დოლარით გაზრდილი აქტივით“, – განაცხადა გვარამიამ.

მისივე თქმით, საჯარო რეესტრმა ორი დღის განმავლობაში არ დაარეგისტრირა ეს ტრანზაქცია, არადა, ვალდებული იყო იმ დღესვე დაემთავრებინა რეგისტრაციის პროცესი.

„2 დღის განმავლობაში, როგორც ჩანს, ვერ მოხერხდა ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმება. მინისტრი წულუკიანი არ იყო საქართველოში, თუმცა, მის გასაგონად ვამბობ, რომ მას ეს პასუხისმგებლობას არ სხნის. იგი ისევეა ჩარეული ამ ყველაფერში, როგორც ივანიშვილი და აუცილებლად აგებს პასუხს მისი უწყების ამ უკანონო გადაწყვეტილებაზე“, – განაცხადა გვარამიამ.

„სრუსთავი-2“: საინფორმაციო დედინაცვალი – თვალუი ნახარი!

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავბან ვერ ნახავ!..

ვერ დავეთანხმები მოსახრებას, რომ საქართველოში პოლიტიკური პატივები არიან

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ვაშინგტონში, ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა.

საქართველოში არიან პატივები, რომელთაც ჰქონდათ პოლიტიკური წარსული და რომელთაც აქვთ პოლიტიკური ანგარიში. რამდენად იქნა მართლმსაჯულების პროცესში მათთან მიმართებაში გამოყენებული პოლიტიკური მოტივაცია, ეს არის საკითხი, რომელსაც ჩვენ ყველამ ერთად, როგორც საზოგადოებამ უნდა ვუპასუხოთ. მე მჯერა, რომ თუ არსებობს კითხვის ნიშნები პოლიტიკური წარსულის და მომავლის მქონე ადამიანებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებაში, ის გადაწყვეტა ქართული სასამართლოს შიგნით, სრულიად გამჭვირვალე პროცესის შედეგად და ყველას ექნება საშუალება გამოთქვას და დაცვას თავისი პოზიცია, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.



„რაც შეეხება შეწყობას, ეს არის ლობიერების ფუნქცია, რომელიც გააჩნია სახელმწიფოს — არა სასამართლო გადაწყვეტილების გასწორების, არა შეცდომების გასწორების, არამედ სწორედ დამნაშავე ადამიანის მიმართ ლობიერების გამოჩენის ფუნქცია. ეს ფუნქცია ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მე მას დიდი ყურადღებით ვეკიდები. შემოძლია, ერთმნიშვნელოვნად განვიცხადოთ, რომ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული პოლიტიკურ კონტექსტში ან პოლიტიკური წინაპირობებით, არც იმისთვის, რომ გასწორდეს სასამართლოს განაჩენები. ეს არის სუფთა ლობიერების გამოხატვა ამა თუ იმ მსჯავრდებულს მიმართ. შესაბამისად, მე შეწყობას განვიხილავ პოლიტიკური კონტექსტის გარეშე. თქვენ იცით, რამდენად მძაფრად გამაკრიტიკეს, როდესაც შევინწყალე შესაწყობელი ადამიანი, რომლის ოჯახის წევრიც პოლიტიკასთან არის კავშირში, მაგრამ მე სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. პოლიტიკური კონტექსტის შეტანა, როდესაც ლობიერება უნდა გამოიჩინო, არის ფაქტობრივად დაბრუნება სტალინიზმში“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

უახლოეს ისტორიაში ოქტომბერი ასოებით ჩაინერგება

1 ოქტომბერი საქართველოს უახლოეს ისტორიაში ოქტომბრის ასოებით ჩაინერგება, — ამის შესახებ საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, 2012 წლის 1 ოქტომბერი საქართველოს მოქალაქეებს, მომავალ თაობებს დაამახსოვრებდათ დღე, როდესაც ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა იმ სისხლიან რეჟიმზე, რომელსაც სააკაშვილი და მისი გუნდი წარმოადგენდა.

„ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა იმ ბოროტებაზე, რასაც ისინი ხალხის მიმართ ჩადიდნენ. არ დაეკონკრეტებ

დები, თუ რა მდგომარეობაში ცხოვრობდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, რა მდგომარეობაში იყვნენ ყურნალისტები და ა.შ. ძალიან მძიმე იყო ეს ყველაფერი, თუმცა, ქართველმა ხალხმა ერთად დგომით შეძლო, რომ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი არჩევნების გზით ჩამოგვეშორებინა ხელისუფლებიდან“, — განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება დაპირებების შესრულებას, მისი თქმით, ამ 3 წლის განმავლობაში ბევრ რამ გაკეთდა.

„ქართულმა ოცნებამ“ არაქონი დაპირებები, მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულებების კი არ შეასრულა

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სამი წლის მუშაობის შედეგები შეაფასა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამ მთელი საქართველო დიდი იმედებით ელოდა იმიტომ, რომ სჯეროდა, არამარტო დამნაშავე რეჟიმი მოშორდებოდა ხელისუფლებას, არამედ ქვეყანა წინ წავიდოდა.

„საქართველოს მოსახლეობას სჯეროდა იმ დაპირებების, რომელსაც უხვად იძლეოდა ბიძინა ივანიშვილი. მე ნამდვილად არ მქონდა იმის ილუზია, რომ ეს დაპირებები შესრულდებოდა, გნებავთ 5 მილიონი თითოეულ სოფელს, გნებავთ ყველა ადამიანის კეთილდღეობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ა.შ. მაგრამ ნამდვილად ველოდი, რომ „ქართული ოცნება“ იმას მაინც მოახერხებდა, რომ კანონით მისთვის დაკისრებული ვალდებულებები შეესრულებინა ქართველი ხალხის წინაშე. სამართლიანობისათვის უნდა იქნას აღნიშნული, რომ ერთადერთი რაც ნამდვილად მოიტანა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამ, ეს არის ის, რომ ქვეყანაში



აღარ არის ტერორი და შიში, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დროს იყო“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. მისი განცხადებით, დღეს „ქართული ოცნება“ „წარმატებით“ აგრძელებს საქართველოს მოსახლეობის მოტყუებას.

„ქართული ოცნება“ გვატყუებს, როდესაც ამბობს, რომ პირველი ოქტომბერი ოქროს ასოებით ჩაინერგება საქართველოს ისტორიაში, ეს ნამდვილად ვერ იქნება ასე, რადგან „ოცნების“ სამწლიანი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში კიდევ უფრო დაპატარავდა საქართველოს ტერიტორია, კიდევ უფრო გაუარესდა მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, არ გადამწყვეტილა არც ერთი არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკური საკითხი“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.



საქართველოს მოქალაქე უკრაინიდან გამოაქვეს

შპრინიში საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელიც დონბასის ტერიტორიაზე ჩასვლას და სეპარატისტების მხარეს ბრძოლას გეგმავდა. ამის შესახებ უკრაინული გამოცემა „გორდონ.უა“ უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურზე დაყრდნობით იტყობინება.

უწყების ცნობით, საქართველოს მოქალაქე აეროპორტში დააკავეს. ის ბორისპოლში თბილისი-კიევის რეისით ჩავიდა.

„არსებული ინფორმაციით, დაკავებული აპირებდა ბოევოების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უკანონოდ ჩასვლას, ტერორისტულ ფორმირებაში განევრებისა და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიზნით“, — ნათქვამია სასაზღვრო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც „გორდონ.უა“ წერს, დაკითხვაზე დაკავებულმა განაცხადა, რომ მისი ნათესავები ამჟამად დონეცკსა და ლუგანსკში სეპარატისტების მხარეს იბრძვიან.

მამაკაცი საქართველოში გამოაქვეს. მისი ვინაობა უცნობია.

რომ სიცილი, ზოგჯერ ტრეპლზე მხარა

1 ოქტომბრის სიზმარი

სხლიდნ გამოვედი, ქარხანაში მიმეჩქარებოდა. ახალი ტექნოლოგიური ხაზი დანერგეს ჩვენმა ინჟინრებმა და იაპონელმა სტუმრებს ველოდებით, გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოვიდნენ. ჩემი უზნის პენსიონერები თავიანთ საყვარელ სკვერში ისხდნენ. მივესალმე.

- მოდი, მოდი, — დამიძახეს.
- გამარჯობა, რა ხდება კიდევ უფრო ახალი და კიდევ უფრო კარგი? — ვიკითხე.
- დღეს ჩვენი უზნელი სოციალურად დაუცველები რესტორანში გვეპატივებინ, მანამდე რამდენიმე საკითხი გვაქვს გადასანწყვეტი.
- მერაბ ბიძია, წინა კვირას პენსიები რომ აიღეთ და მთაწმინდის პარკის რესტორანში ვარლამს რომ აუხირდი, ტყემალაძის და გუგულის სადღეგრძელო პატარა ყანწით რატომ დალიეთ, ეგრე აღარ ქნა. — ვთხოვე.
- მოსუცებმა ხმაბალლა გაიციინეს. მერაბ ბიძიამ თვალეში მორცხვად დასარა.
- ჩემი ბიჭი ხომ იცით, სამინისტროში დეპარტამენტის უფროსი რომაა, გუშინ განერვიულებული მოვიდა სახლში.
- რა იყო, ხო მშვიდობაა?
- რაღა მშვიდობა. პრემია და დანამატი ჩაურიცხავთ, პოლად დღეს ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელები, სხვა სამინისტროებიდანაც ფინანსთა სამინისტროსთან აქციის გამართვას აპირებენ მოთხოვნით: — ვინაა თქვენი მათხოვარი კატეგორიულად მოვითხოვთ: არ გვინდა პრემია და დანამატი. როგორც ხადური ცხოვრობს ხელ-

- ფასზე და მშობლები პენსიიდან ეხმარებიან, ჩვენც ვგრე უნდა ვიცხოვროთ!
- ისე, მაინც რამდენს ბედავს ეს ფინანსთა სამინისტრო?
- აბა, აბა!
- უცებ სკვერში ჩვენი მეზობელი, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე შემოვარდა.
- მიშველეთ ხალხო, დამმადეთო უცნოელი ინვესტორები მომდევნ, ფული უნდა დავაბანდოთ საქართველოშიო. რა ვქნა არ ვიცი. ქართველ ბიზნესმენებს ვეღარ ავუდივარ.
- მოსუცებმა „სტენვა“ გაუკეთეს. ინვესტორების ლაშქარმა ხმაურით ჩაიქროლა.
- სკვერთან 2015 წლის გამოშვების შავი „ტოიოტა პრადო“ გაჩერდა. მანქანიდან ვენერა ბებო გადმოვიდა.
- სად იყავი, ქალო, ამდენ ხანს? — გაუწყრა შალიკო.
- საბაძე დავინახე სადგურთან, მატარებლით ჩამოსულია ბათუმიდან, 6 დიდი ტომარა სამადრობელი წერილები მიქონდა პარლამენტში და კანცელარიაში. ნახევარი საათი ვეგეწე, მანქანით წაგიყვან, ცოდო ხარ, ავტობუსში ასე როგორ ახვალ-თქო. არაფრით არ გამოშვებ. ხალხმა რომ ვიპოვი დამინახოს, რას იფიქრებსო.
- უცებ მუჯლუგუნმა გამოშალა.
- დროზე აეთრე შე უსაქმური, ჩადი და პოსლზე წაპური გამოართვი, ოღონდ დღევანდელი ფასი ჩააწერინე, თორე ხვალდან ეგეც ძვირდებაო!

ბია გაბრიძიძე

როგორ ტრიალებს, როგორ!

მთლიანმა საბარეო ვალმა 14.1 მლრდ დოლარი შეადგინა

საბარეო ვალმა, 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 14.1 მლრდ აშშ დოლარი (31.8 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 90.9 პროცენტია.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2015 წლის მეორე კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 437.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, აქედან ვალის ოპერაციული ცვლილებების გამო 341.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 5.9 მლრდ აშშ დოლარი (13.3 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 38.1 პროცენტია, რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 4.3 მლრდ აშშ დოლარი (9.6 მლრდ ლარი; მშპ-ს 27.3 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები — 233.0 მლნ აშშ დოლარი (524.0 მლნ ლარი; მშპ-ს 1.5 პროცენტი), ხოლო სახელმწიფო სანარმოების ობლიგაციები და სესხები შესაბამისად — 837.7 მლნ აშშ დოლარი (1.9 მლრდ

ლარი; მშპ-ს 5.4 პროცენტი) და 605.5 მლნ აშშ დოლარი (1.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 3.9 პროცენტი). კერძო საგარეო ვალმა კი შეადგინა 8.2 მლრდ აშშ დოლარი (18.5 მლრდ ლარი; მშპ-ს 52.8 პროცენტი), აქედან, საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 2.8 მლრდ აშშ დოლარი (6.3 მლრდ ლარი; მშპ-ს 17.9 პროცენტი), კერძო სანარმოების საგარეო ვალმა — 2.5 მლრდ აშშ დოლარი (5.7 მლრდ ლარი; მშპ-ს 16.3 პროცენტი) და კომპანიათაშორის ვალმა — 2.9 მლრდ აშშ დოლარი (6.5 მლრდ ლარი; მშპ-ს 18.6 პროცენტი). მთლიანი საგარეო ვალის 94.9 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა, 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 9.1 მლრდ აშშ დოლარი (20.5 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 58.6 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო



ვალი 3.4 მლრდ აშშ დოლარია (7.7 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 21.9 პროცენტია. 2015 წლის მეორე კვარტალში

საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 1.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო, ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულებები 3.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. 2015 წლის მეორე კვარტალის ბოლოს ეროვნული ბანკის მთლიანმა ვალდებულებებმა 233.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, 202.5 მლნ აშშ დოლარი განაწილებულია ნა-სესხობის სპეციალური უფლება (ნსუ), რომელსაც არ აქვს დაფარვის ვადა და, პრაქტიკულად, მისი გადახდის ვალდებულება არ დადგება, სანამ საქართველო იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, წინამდებარე სტატისტიკური ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე, სტატისტიკის რუბრიკაში, მისამართზე: www.nbg.gov.ge

ბიბლიოთეკა კულტურულ ბრენდად უნდა პაქსიოთ

ნომრის სტუმარია პოეტი, Lib.ge და caulib.com-ის დამფუძნებელი, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ბიბლიოთეკის კამპეინი.



ბიბლიოთეკა იგივე სამთხვეა? ბორისი... საჯარო ბიბლიოთეკაში მოვანყვეთ საბავშვო კუთხე, სადაც მშობლებს შეუძლიათ რამდენიმე საათი უსაფრთხოდ დატოვონ ბავშვი, ხოლო ჩვენი თანამშრომლები თამაშ-თამაშით შეეცდებიან, მას წიგნისადმი ინტერესი გაუღვივონ.

ბატონო ბიბლიოთეკის, რა სიახლეები გაქვთ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რამდენად წარმატებული აღმოჩნდა ახალ, თანამედროვე სისტემაზე მუშაობის გადაწყვეტილება და რას სთავაზობს ერთგულ მკითხველს?

უპირველესად, ძალიან დიდი მადლობა თქვენს გაზიარებული ბიბლიოთეკის ბედით დაინტერესებულს. რაც შეეხება საჯარო ბიბლიოთეკის გამოწვევებს, საკმაოდ რთული პრობლემები გადავლახეთ, თუმცა, ბევრი რამ ჯერ კიდევ მოსაგვარებელია. გასაგები მიზეზების გამო, ადამიანები დაშორდნენ წიგნს, როგორც კულტურას და ჩვენი სურვილია, ისინი შემოვბრუნოთ წიგნისკენ სხვადასხვა გზებით, მათ შორის შეიძლება ირიბი გზებითაც...

რას გულისხმობს გზები? იმას, რომ ბიბლიოთეკა უნდა ვაქციოთ კულტურულ ბრენდად. აქ ადამიანები შეიძლება მოდიოდნენ დისკუსიებზე, ღონისძიებებზე, თავყრილობებზე, სადაც ისინი შეამჩნევენ მაინც წიგნს და აქედან გამომდინარე, შეიძლება მერე დაინტერესდნენ კიდევ. მთავარი პრობლემა, რაც იყო, ეს შეეხებოდა ეროვნული ბიბლიოთეკის შენობების მდგომარეობას, რომლის თითქმის 80 პროცენტი სარემონტოა. ნელ-ნელა, დიდწილად კერძო ბიზნესის დახმარებით ვცდილობთ კორპუსების რეაბილიტაციას. ათობით კერძო კომპანიის დახმარებით გავხსენით რამდენიმე დარბაზი, მათ შორის ღვინის ბიბლიოთეკა, უკვე ფუნქციონირებს ემიგრაციის დარბაზი, სადაც თავი მოვუყარეთ საზღვარგარეთიდან მოპოვებულ მასალებს. გვაქვს ვახტანგ VI-ის დარბაზი, სარაჯივილის დარბაზი, ჭაბუა ამირეჯიბის დარბაზი...

ყველა კეთილმოწყობილი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია?

რა თქმა უნდა. ჩვენ გავხსენით რეპრესირებული წიგნის მუზეუმი და ძალიან მალე გვექნება ქართული წიგნის მუზეუმი, რომელიც იქნება უპრეცედენტო მთელს კავკასიაში. ეს იქნება ყველაზე დიდი მუზეუმი, რომელიც გაიხსნება კორპუსში (იგი წლების განმავლობაში დაკეტილი იყო) და აქ იარსებებს ლია სივრცე ქართული წიგნისთვის. ძალიან მალე ექსპლუატაციაში გავუშვებთ V კორპუსს, რომელიც ქართული წიგნის სპეციფიკური ცენტრი გახდება. მალე გაიხსნება ქუთაისში ბიბლიოთეკის ახალი კორპუსი, სადაც საქართველოში წიგნების ყველაზე დიდი საცავი გაჩაგრება.

ჩვენი პოლიტიკა არის ფართო. ის სცდება ეროვნული ბიბლიოთეკის ფარგლებს. ვინაიდან ჩვენ წიგნის გულშემატკივრები ვართ, იმის მიუხედავად, რომ სოფლის ბიბლიოთეკები არ გვექვემდებარება, 200-ზე მეტი ბიბლიოთეკა ალვადგინეთ. 100-მდე სოფლის ბიბლიოთეკა მოვამარაგეთ წიგნებით, უზრუნველყავით ინტერნეტით. ვცდილობთ, საქართველოს საზღვრებს გარეთაც გავიტანოთ ქართული წიგნი, ქართული კულტურა... 30-მდე ქალაქში, ევროპასა და აზიაში, გავხსენით ქართული ბიბლიოთეკა თუ წიგნის კუთხე. უცხოეთში ვაგზავნით წიგნებს, თუ საჭიროა ჩავდივართ და ვანწყობთ პრეზენტაციებს, ანუ ჩვენ ვცდილობთ, წიგნი, ბიბლიოთეკა კულტურულ ბრენდად ვაქციოთ.

რაღა შეეხება ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზას...

ელექტრონული ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით გეტყვი, რომ ჩვენ უკვე გვაქვს გაციფრებული თითქმის 100 პროცენტი წიგნებისა. მკითხველს შეუძლია ელექტრონულად მოიძიოს ნებისმიერი ლიტერატურა. სულ მალე ამუშავდება პროგრამა, რომლის მიხედვით, მკითხველს შეეძლება სახლიდან გაუსვლელად გამოიწეროს წიგნი და რამდენიმე საათში მას შინ მიართმევენ. რაც შეეხება სხვა ელექტრონულ აქტივობებს, შევქმენით მდიდარი სალექსიკონო ბაზა, რომელიც უკვე ძალიან პოპულარულია. ასევე გვაქვს „ციფრული ფოტომატიანი“, რომელსაც „ჯეოსვლელთან“ ერთად ვახორციელებთ და პროექტი „ფიროსმანი“, რომელიც ცნობილი ქართველი მხატვრების შემოქმედების პოპულარიზაციას უწყობს ხელს... გავაციფრეთ მათი ნამუშევრები.

შევუსაბამოთ ნიგნსაცავი. ჩვენი პრიორიტეტი, ჯერ-ჯერობით, სამკითხველო დარბაზების მოწესრიგებაა, ხოლო შემდგომ ამ თანხების მოძიებასაც შევუდგებით.

და მაინც, რამდენ ხანში შეიძლება მოგვარდეს საბოლოოდ ეროვნული ბიბლიოთეკის პრობლემა. გგულისხმობს შენობის რეაბილიტაციას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას...

2016 წლის ბოლომდე, ჩემი ვარაუდით, სამკითხველო დარბაზების პრობლემა მოწესრიგებული იქნება, რაც შეეხება საცავს, აქ ძალიან რთული და სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი... როგორც აღვნიშნე, ჯერ სოლიდური თანხების მოპოვებაზე უნდა ვიზრუნოთ.

საბონენტო სისტემა თუ არის მოსახერხებელი?

რა თქმა უნდა. საშვის ალება მოგიწევთ ერთხელ, რომელიც უფასოა. ამის შემდეგ უკვე დარეგისტრირებული იქნებით ბაზაში და მუდმივად ამ საშვს გამოიყენებთ.

ვინ არიან მკითხველები, უმეტესად რომელი თაობის წარმომადგენლები სტუმრობენ ეროვნულ ბიბლიოთეკას?

მკითხველების სამი კატეგორია გვყავს, ძირითადად. ერთია - მუდმივი მკითხველი, რომელიც სულ აქ არის, ამუშავებს ლიტერატურას, კითხულობს, ეს იქნებიან მეცნიერები, ლექტორები თუ სხვა. მეორე კატეგორიას მიეკუთვნება ე.წ. ერთჯერადი მკითხველი, რომელიც მხოლოდ კონკრეტული საჭიროების გამო მოდის ბიბლიოთეკაში და მესამე - სტუდენტები, რომლებიც მრავლად არიან, განსაკუთრებით სასწავლო პერიოდში.

დღეს როგორ ხდება წიგნების შევსება, რა სისტემით ახორციელებთ ამას?

ჩვენ მივიღეთ კანონი ბიბლიოთეკის შესახებ, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი გამოცემა საქართველოში, ავტომატურად მოდის საჯარო ბიბლიოთეკაში. რაც შეეხება უცხოურ გამოცემას, მას ვყიდულობთ საჭიროების შესაბამისად.

ჩვენი ეროვნული ბიბლიოთეკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს რუსული ლიტერატურა. ახლა როგორ და რა ფორმით მიმდინარეობს თანამშრომლობა?

ჩვენ გვაქვს ელექტრონულად გამოწერილი გაზეთები და წიგნები, რომელიც რუსულ ენაზე გამოდის. ამდენად დიდი დეფიციტი ნამდვილად არ არის.

ბატონო გიორგი, სამი წელიწადია, რაც საკმაოდ საბასუსისმგებლო თანამდებობაზე ხართ. რა თქმა უნდა, სამსახური შრომატევადია, თუმცა, ასევე აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება გაქვთ. თუ გავიხსენებთ „გურულ დღე-ურეზს“, თქვენს პოეზიას, რომელიც ასევე პოპულარულია... როგორ ახერხებთ, არ გიჭირთ სამსახურისა და შემოქმედების შეთავსება?

იცით, პირიქითაც კი არის... ამდენ ადამიანთან ყოველდღიური ურთიერთობა, წიგნებთან კონტაქტი, ზრუნვა, დადებითად განგანწყობს და შემოქმედებითად გავსებს, გაძლევს ზღვა მასალას დასაფიქრებლად. მართალია, დროის დეფიციტი არის, მაგრამ რაღაცნაირად ვახერხებ ჩემს შემოქმედებასაც მივხელო.

პროფესიით ვინ ბრძანდებით?

ლიტერატურის თეორიის სპეციალისტი...

ამიტომაც უფრო სიყვარული გიბიძგებთ ამ საქმისკენ...

ალბათ... სხვათა შორის, ძალიან მინდა, შევისწავლო კინემატოგრაფია, მაგრამ დრო არ მაძლევს ამის საშუალებას. რთული გრაფიკი მაქვს. ლექციებს ვკითხულობ უნივერსიტეტში, ასევე მაქვს საჯარო ლექციების ციკლი. ვწერ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სასკოლო ტიპის პრობლემებზეც... ასე რომ, სწავლისთვის დრო არ მრჩება.

პირად ცხოვრებაში სახალაო?

არა, პირადი რაღაც ქაოტურად მიმდინარეობს ხოლმე... მაგრამ ახლა თითქოს მივეჩვიე ამ ყოველივეს და დასტაბილურდა ჩემი ცხოვრებაც.

წარმატებებს გისურვებ! გამადლობთ ინტერვიუსთვის.

ესაუბრა თაა მოსია

ალიან-ჩალიანი

8 თვეში ჯარიმის რაოდენობა 7 385 230 ლარს შეადგენს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე მდგომარეობით გარე-სამეთვალყურეო ვიდეოკამერების მეშვეობით შედგენილი ჯარიმის რაოდენობა 7 385 230 ლარს შეადგენს.

„ინტერპრესნიუსმა“ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე ვიდეოკამერების შესახებ მონაცემები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა. მონაცემები მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტი ვიდეოკამერა აგვისტოში დაფიქსირდა - 31 356, რაც თანხობრივად 1 392 560 ლარს შეადგენს. ინფორმაცია შეიცავს ჯარიმებს, რომელიც გაცემულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის დარღვევისათვის, რაც მოიცავს სიჩქარის გადაჭარბებას, საავტომობილო ვითარების შექმნას ან მოძრაობის შეფერხებას ქვეითთა გადასასვლელის გაგლის; საგალ ნაწილზე განლაგების; საგზაო ნიშნის; საგზაო მონიშვნის; ბუქსირების; მანევრირების; სამარშრუტო საშუალების - გაგლის პრიორიტეტის დარღვევას; ნითელზე გაგლას; ღერძულა ხაზის გადაკვე-

თას; გასწრების; გზაჯვარედინის გაგლის წესების დარღვევას; გაგლის უპირატესობის მქონე ტრანსპორტის დაბრკოლებას; „დაუთმე გზა“, „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია“, „შესვლა აკრძალულია“, „მოძრაობა აკრძალულია“ - ნიშანთა დაუცველობას.

იქმნება ქართული სივრული ტოპოგრაფიული რუკა

საშპს „რეესტრის“ ეროვნული სააგენტო ქართული ციფრული ტოპოგრაფიული რუკის შექმნაზე მუშაობს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ამ დროისთვის უკვე შეჩვენულია 600 ქართულენოვანი, უნიკალური კოდის მქონე პირობითი ნიშანი, რომელიც საბჭოთა პერიოდის შემდეგ საჯარო რეესტრის მიერ პირველად შეიქმნა. ასევე მზად არის პირველი ქართული კლასიფიკატორი, ციფრული სტანდარტი Georgian-10 000 „STYLE“, რომლის საშუალებითაც ციფრული ტოპოგრაფიული რუკის კარტოგრაფიული გაფორმება მოხდება.

ციფრული ტოპოგრაფიული რუკის შექმნა მნიშვნელოვანადაა დაკავშირებული პროექტთან „რუკები მინის მდგრადი მართვისთვის - საქართველოს ორთოფოტო“, რომელ-

საც საჯარო რეესტრი ნორვეგიის კარტოგრაფიის ორგანიზაციის (STATENS KARTVERK) ერთად ახორციელებს. ქართული ციფრული ტოპოგრაფიული რუკის საფუძვლად სწორედ ამ პროექტის შედეგად მიღებული თანამედროვე სტანდარტის ორთოფოტოები გამოიყენება.

დაპარტამენტს 15 პიკაპის ტიპის ავტომობილი შეემატა

ბარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ტექნიკურ შემადგენლობას 15 ერთეული პიკაპის ტიპის ავტომობილი შეემატა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ახალი ტექნიკური საშუალების პრეზენტაცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეზოში გაიმართა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მიმდინარე წელს გამოვლენილი სამართალდარღვევების სტატისტიკა წარადგინა. აღნიშნული მანქანები გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონალურ სამმართველოებს გადაეცემა.

მწერ კვარაცხელია საზოგადოების წინაშე პირველად თავისი ლექსებით წარდგა. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში პუბლიკაციას წინამძღვარი გაუკეთა: „ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში ყველა კარგად იცნობს შეათვალსე გუნჯა კვარაცხელიას. მას იცნობენ მარტო არა როგორც წარჩინებულ მოსწავლეს, არამედ როგორც კარგ პოეტსაც. მისი ლექსები მართლაც სიბლადენ მკითხველს განცდის უშუალოდ, დახვეწილი ლირიზმით, მაღალი მხატვრულობით“.

თვითონ გუნჯა ერთ-ერთ ინტერვიუში ასე იკონებს თავის სკოლას: „როცა სწავლა დაიწყო, ჩვენი სკოლის ინტელექტუალური და სულიერი ატმოსფერო ძველი, გიმნაზიადამთავრებული, ევროპულად განათლებული პედაგოგების მიერ იყო შექმნილი. აქ მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ ცნობილი მასწავლებლები... მიუხედავად აკადემიზმისა, რაც უთუოდ იყო ჩვენი სკოლის ნიშანი, მას სიმდევრე, სქოლასტიკური რიტორიზმის ჩარჩოებით გამყარებული უძრაობა არ ახასიათებდა. აქ ყველაფერი დულდა, სკოლა არაჩვეულებრივად სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა“. სამართლიანობასა და სიკეთეზე ოცნება, მშენიერების მუდმივი ძიება და მაღალ-ზნეობრივი იდეალებისაკენ მისწრაფება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ისეთ მთლიანობად აქცევდა, რაც სკოლის სახეს ქმნიდა და აღზრდილებს ცხოვრების საგზადად მიჰყვებოდა შემდგომ გზაზე“.

როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, უკვე ექვსი პუბლიკაციის ავტორი იყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, პროფესორ თინათინ შარაშენიძის ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი „ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების“ სპეციალობით, წარმატებით დაიცვა დისერტაცია მეტყველების სტილის სტატისტიკური ანალიზის საკითხებზე. ეს იყო ნოვატორული ნაშრომი, მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი პირველი დისერტაცია მათემატიკური ლინგვისტიკის დარგში. ქართული ენის ფუნქციურ სტილთა, ასევე პირველი და ფუნდამენტური გამოკვლევა იყო მისი სადოქტორო დისერტაცია. იგი გამოირჩევა უხეშპირიულ მასალაზე დამყარებული ორიგინალური დებულებებით, რომელთაც, ერთი მხრივ, დიდი ზოგადლინგვისტიკური მნიშვნელობა აქვთ, ხოლო მეორე მხრივ, ქართული ენის კვლევის ახალ ასპექტებს წარმოაჩენენ.

მეცნიერის ორიგინალური შეხედულებები ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკის საგნისა და მისი კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ შემდეგ უფრო განივრცო და განვითარდა მის მონოგრაფიებსა და მრავალრიცხოვან გამოკვლევებში, რომლებიც ავტორის დიდ ნიჭს, განსაკუთრებულ განსწავლულობასა და საგნის, საკვლევი პრობლემისაკენ სრულ ფლობას მოწმობენ.

ეს არ არის შემთხვევითი. გუნჯა კვარაცხელია ამ საკითხებით სტუდენტობიდანვე დაინტერესდა. იმთავითვე ფართო იყო მისი კვლევის დიაპაზონი: „ოპოიაზის“ (პოეტური ენის შემსწავლელი საზოგადოება) კონცეფციის შესწავლა, პრაღის სკოლა, სტილოტიკის კვლევა, „ფორმალისმი“ არსი, სტრუქტურული და მათემატიკური პოეტიკა, ქართული ლექსის თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზი და სხვ., რამაც მკვლევარი მიიყვანა ენის ღრმა ფუნქციურ სინთეზამდე. თავიდან ავტორის კონცეფციის ჩამოყალიბება ძირითადად ორ ღერძს ეყრდნობოდა: ერთი მხრივ, ეს იყო არნ. ჩიქობავას ენის ინტეგრირებული თეორია, ხოლო, მეორე მხრივ, პრაღის სკოლის ფუნქციონალიზმის სიღრმე და გაქანება. შემდგომ ავტორის კვლევის არეალი თანდათან კიდევ უფრო გაფართოვდა და მოიცვა საკვლევი საგნის მიმართ ყველა მნიშვნელოვანი ნააზრები.

სტილის შესწავლის სირთულე ის არის, რომ ენობრივი ქცევა და, უპირატესად, ენობრივი შემოქმედება ერთიანი სინთეზური პროცესია, ხოლო მეცნიერული ანალიზი თავის ობიექტს ანაწევრებს და სხვადასხვა დარგს უნაწილებს. მეორე სირთულე არანაკლებ წინააღმდეგობრივია. ენობრივი ქცევისას პიროვნება „ენას ისაკუთრებს“, მით უმეტეს, თუ იგი ჭეშმარიტი შემოქმედი, საკუთარ ინდივიდუალურ სტილს ქმნის. მეცნიერული ანალიზი კი ზოგადი კანონზომიერების დადგენას ემსახურება, სისტემატიზაციასა და მისწრაფებს, სტრუქტურულ-ფუნქციურ მახასიათებლებს აქვს.

გუნჯა კვარაცხელია მსცადა ამ ურთულესი ანტინომიების თავისებური გადაჭრა, ამ ორი უკიდურესობის ჰარმონიზაცია, მათთვის ერთიანი საფუძვლის მონახვა. ამიტომ გახდა იგი ახალი საენათმეცნიერო დარგის – ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკის ფუძემდებელი, რითაც მკვიდრი სამეცნიერო ბაზა შეუქმნა საქართველოში ლინგვისტიკის ისეთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, როგორცაა ლინგვისტიკისტიკა.

აღსანიშნავია ქალბატონი გუნჯას, როგორც საკუთრივ თეორეტიკოს-მკვლევარის წვლილიც: მის კალამს ეკუთვნის ადამიანისა და ენის, ენისა და აზროვნების, ბუნებრივი ენისა და ფორმალური სისტემის ურთიერთმიმართების, კომუნიკაციის თეორიისა და თანამედროვე ლინგვოპრაგმატიკის, სალიტერატურო ენის ნორმალური ზაციისადმი მიძღვნილი მრავალი ზოგადენათმეცნიერული ნაშრომი. მისი მეცნიერული კვლევის შედეგებმა ასახვა პოვა კოლეგების, მათ შორის, მისი ასპირანტებისა და ხარისხის მაძიებლების ნაშრომებში. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მეცნიერის შემოქმედებითი პოეტისა სხვაგვარადაც გამოვლინდა: იგი ქართული უმაღლესი სკოლის ცნობილი პედაგოგია, რომელიც 45 წელია ლექციათა სხვადასხვა კურსს კითხულობს, მათ შორის – საავტორო კურსებს: „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“, „ლინგვოპრაგმატიკა“ და „სემიოტიკა“. მისი ინიციატივითა და პროექტით თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრასთან, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, დაარსდა



ორი მუზის ჰარმონია...

გუნჯა კვარაცხელია - 75

არაქართველთათვის ქართული ენის სწავლების პრობლემური ლაბორატორია.

აკად. გ. კვარაცხელიამ ავტორიტეტი მოიპოვა არა მარტო მასშტაბური მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობით, არამედ სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობითაც. იგი იყო არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, სადისერტაციო და სამეცნიერო საბჭოების თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის სამეცნიერო საბჭოს სექციის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს განათლების მინისტრი; ამჟამად არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მრავალი წლის მანძილზე მას მუდმივად უწევდა საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების საკითხთა კომისიის წევრი, საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი და ნევრი საქართველოს პრეზიდენტთან არსებული კომისიისა „მშენიშნული კავკასია“, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. იყო აგრეთვე საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს რესპუბლიკური დემოკრაფიული ფონდის თავმჯდომარე. 1988 წელს აირჩიეს სსრკ სახლხო დეპუტატად – იყო უმაღლესი საბჭოს წევრი.

ქალბატონ გუნჯას მინიჭებული აქვს დედობის მედალი, როგორც ხუთი შვილის დედას, დაჯილდოებულია საქართველოს საპატრიარქოს სიგელით „ქართველი ერის წინაშე განუწეული დიდი ღვაწლისა და მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“, 2011 წელს მას მიენიჭა აკაკი შანიძის პრემია წიგნის „ქართული ენა – ენციკლოპედია“ რედაქტორობისათვის (შემდგენელთან ერთად).

მაგამა ყოველივე ზემოთქმული გუნჯა კვარაცხელიას ცხოვრებასა და მოღვაწეობის მსოფლიო ერთი მხარეა. იგი სიახლით გამორჩეული პოეტი (9 კრებულის ავტორი) და მხატვარია (500-ზე მეტი ნახატის შემქმნელი), რომელსაც მუდ-

მივად შეაქვს წვლილი თანამედროვე მხატვრული სააზროვნო სივრცის გაფართოებაში. ყოველი მისი ახალი ლექსი განსხვავებულია – ორიგინალური, მას არ ახასიათებს არც სტილიზაცია და არც საკუთარი თავის გამეორება. ის აქაც, როგორც მეცნიერებაში, სიახლეა მაძიებელია.

მსოფლიო კულტურის სივრცეში შესვლა ისე, რომ არ დაკარგო ეროვნული იდენტობა, კაცობრიული ტრადიციების სრულყოფილიან მემკვიდრედ იმდაგვარად შეიგრძნო თავი, რომ ამ ტრადიციებში ქართული კულტურის წვლილსაც ხედავდ, ეს არის გუნჯა კვარაცხელიას იმ მისწრაფების ფსიქოლოგიური საფუძველი, რომელსაც ყველაფერის მოცვა, ყველაფერის საკუთარი ენით გამოთქმა სურს, სურს ყოველი მოვლენის უკან არსი დაინახოს, წეროს და არა აღწეროს ეს არსი. სამყაროსთან მისი უნიკალური დიალოგის ფსიქოლოგიური საფუძველიც იგივეა. შეიძლება ითქვას, რომ გუნჯა კვარაცხელიას პოეზია არის სამყაროსთან დიალოგის პოეზია. პოეტი სამყაროსთან ლაპარაკობს არა როგორც მოძღვარი ან ტრიბუნი, არამედ ლაპარაკობს ყველა იმათი სახელით, ვინც მისთვის ამ სამყაროს განახორცილებს. არსებითი სიხლე აქ მაინც ის არის, რომ მისი პოეზია შეიძლება განვიხილოთ, როგორც შემეცნება, როგორც იმ სხვადასხვა ცოდნათა სპეციფიკური ფორმა, რომელთაც ადრე არ ვფლობდით და რომელთა მეშვეობით თვალსაჩინო გახდა მთელი მისი თაობის სულიერი ბიოგრაფია. პოეტის ცნობიერებამ ააგო რეალობა, რომელშიც პროექტირებულია თანამედროვე ადამიანის გრძნობები, შთაგონებები, შეფასებები. პოეტურ გამოხატულებათა მუდმივად ცვალებადი მიდგომით, ლირიკულ გმირთა ხასიათებისა და თემათა საოცარი კალიდოსკოპით იქმნება პოეტისეული სამყაროს სურათი, რომელიც შევიგრძნობთ ადამიანის არსებობის უზარმაზარ მრავალფეროვნებას, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალეობასაც და გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ყოფიერება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი მოცემულობა არ არის, არამედ რაღაც განუწყვეტლად ქმნადი, ამავე დროს, მოულოდნელობებითა და შემთხვევითობებით აღსავსე, რაც მუდმივი გაცნობიერების, განსჯისა და შეფასების საბაზს იძლევა. ეს პოეზია არის ახალი პოეზია, რომელიც ეძებს მთლიანობასა და ფრაგმენტულობას, გონებასა და გრძნობას, ცოდნასა და რწმენას შორის უთანხმოებათა მორიგების გზას. პოეტის ეს ძიება ხორციელდება „წმინდა ლირიზმის“ კომბინირებით აზრის აქტიურობასთან, პოეტური იდეებისა და სახეების არანაპირობით, წერის ტექნოლოგიების ფართო რეპერტუარით, რომელსაც ექსპერიმენტატორის დიდი კი არ აზის, არამედ ისეთი შემოქმედისა, რომელსაც, სხვა თვისებებთან ერთად, იმპროვიზაციის უნარიც აქვს. გუნჯა კვარაცხელია ქართულ პოეტურ ტრადიციაში ქმნის ერთგვარ „საკუთარ ენას“, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ჩვენი წარმოდგენა პოეზიის საზღვრებზე. ეს აქტუალიზებული ენა ზუსტად ქართული ენაა, ოღონდ მასში სხვა, ახალი პლასტიკაა, რომლის საშუალებითაც რიტმული ნაირგვარობა ერწყმის აზრთან რიტმის იშვიათ შეთანხმებულობას, ხოლო ლექსის მუსიკა ზედაპირიდან მისი სიღრმეში ინაცვლებს და იბალება, თითქოს იმისთვის, რომ აზრის სიხვედრეს და ემოციის სინრფელს არ ევენოს, ხელი არ შეეშალოს.

გუნჯა კვარაცხელიას პოეზიას მაღალი შეფასება მისცეს ქართული ლიტერატურის ცნობილმა სპეციალისტებმა, კრიტიკოსებმა, მწერლებმა – რ. ინანიშვილმა, თ. კვაჭანტირაძემ, გ. ბენაშვილმა, მ. ჯოხაძემ, ლ. ბრეგვაძემ, ს. სიგუამ, ი. ამირხანაშვილმა და სხვ.

ორიოდე სიტყვა ქალბატონ გუნჯას მხატვრობაზეც. ხელოვნების ამ სახეობას იგი სერიოზულად 60 წლის ასაკიდან მოეკიდა და აღმოაჩინა, რომ ყველაზე სასიამოვნო საქმიანობა მისთვის სწორედ ეს ყოფილა. ყოველთვის უკვირს: „წარმოდგენა არა მაქვს, როგორც ხატავ, მე ხომ ხატავა არ ვიციო?!“ მისმა პირველმა პერსონალურმა გამოფენამ 2010 წელს თბილისის გალა-გალერეაში საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. ამ დღეებში ზურაბ ნერეთლის თანამედროვე მხატვრობის მუზეუმში იმართება მისი მეორე პერსონალური გამოფენა – „ჩვენი შავ-თეთრი და ფერადი ნუთისოფელი“, სადაც წარმოდგენილი იქნება 200 გრაფიკული ნამუშევარი.

გუნჯა კვარაცხელია – მრავალმხრივი ადამიანი და საინტერესო პიროვნება, დარბაისელი ქალი, ხუთი შვილის დედა, მეცნიერი და შემოქმედი, რომელიც მთელი თავისი მოღვაწეობით, თითოეული გადადგმული ნაბიჯით ქვეყნისა და ხალხის სიყვარულსა და ერთგულებას გამოხატავს, ქართული ენისა და ქართული საქმის მუხლჩაუხრელი მსახური ნამდვილად ამშვენებს ჩვენს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას და ჩვენს საზოგადოებას, რომელიც ასევე სიყვარულსა და პატივს მიაგებს მას.

საპარტიველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ვაჟო, შვილივით ნაზარდო!

კახეთში 98 000 ტონამდე უჩრქანი ბაღამუშავდა

მოსავლის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 67 მილიონ ლარს მიაღწია. 30 სექტემბერს დაფიქსირდა მიმდინარე რთვლის სეზონზე რქანითელის გადამამუშავების ბიკური მაჩვენებელი – 4,4 ათასი ტონა. სულ დღეღამურად გადამამუშავდა 6 607 ტონა, რაც მიუთითებს, რომ რთველი კახეთში კვლავ აქტიურ ფაზაშია. სააგენტოს ცნობით, რთველი კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში შეფერხების გარეშე მიმდინარეობს. ღვიწის ქარხნებში ყურძენი 12 ათასზე მეტმა მევენახემ ჩააბარა.

ამ დროისთვის გადამამუშავებულია რქანითელი – 48,2 ათას ტონამდე, საფერავი – 37 ათას ტონამდე, ასევე, 2,3 ათასი ტონა კახური მწვანე და 10 ათას ტონაზე მეტი სხვა ჯიშის ყურძენი. ყურძნის გადამამუშავების პროცესში ჩართულია ღვიწის მწარმოებელი 47 კერძო კომპანია და ასევე სახელმწიფოს მიერ დაქირავებული 16 ღვიწის საწარმო.

ინტერპრესი



სადღეისო დიალოგი

— **ბატონო თორნიკე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სხვა აქტუალური თემა არსებობს საშინაო და საგარეო საკითხებზე, ჩვენში ახლა ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი თემა გასლავთი ექსპრეზიდენტისა და ოდესის ოქტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიხეილ სააკაშვილის მონაღება პრეზიდენტ მარგველაშვილისადმი, შეინაგალოს უგულავა, მერაბიშვილი და ახალაია. სააკაშვილის მტკიცებები, — „პრეზიდენტი მარგველაშვილის ადგილი ისტორიაში და პოლიტიკაში გაიზომება იმით, შეინაგალებს თუ არა ის უგულავას, მერაბიშვილსა და ახალაიას“. თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი უგულავას, მერაბიშვილსა და ახალაიას მართლაც შეინაგალებს?**

— არა მგონია! პრეზიდენტი მარგველაშვილის ერთ-ერთი მთავარი კოზირი არის ის, რომ ჰქონდეს და აქვს კიდევ ზეპარტიული მოღვაწის იმიჯი. იგი შეეცდებოდა, ამგვარი იმიჯის ბოლომდე შენარჩუნებდას. მმართველი კოალიციიდან მისი მისამართით ხშირად ისმის კრიტიკა, რომ თურმე ხან ალასანიას და ხანაც „ნაციონალებს“ ინტერესებს ემსახურება. ამიტომ ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი უგულავას, მერაბიშვილისა და ახალაიას შესაწყალებლად ნაბიჯის გადადგმას მოერიდება. მან რომ ამგვარი ნაბიჯი გადადგას, „ქართული ოცნება“ გაათმავებს იმის მტკიცებას, — ხომ გეუბნებოდით მარგველაშვილი „ნაციონალების“ ინტერესებს ატარებსო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი უგულავას, მერაბიშვილსა და ახალაიას არ შეინაგალებს. მას ძალიან სჭირდება უპარტიო პოლიტიკური მოღვაწის იმიჯი. ამიტომაცაა, რომ ძალიან ფრთხილ და კორექტულ განცხადებებს აკეთებს.

— **აქტიურად განიხილება პრეზიდენტისა და პრემიერის ვიზიტები ამერიკაში, ასევე პრემიერის გამოსვლა გაერო-ს საიუბილეო ასამბლეაზე. ხელისუფლების წარმომადგენლები პრემიერის გამოსვლისას საქართველოში ენერგეტიკაზე, C ჰეპატიტისა და სხვა თემებზე საუბარს იმით ხსნიან, რომ გაერო-ს საიუბილეო ასამბლეა მდგრადი განვითარების პრობლემებს ეხებოდა. ოპონენტები კი პრემიერს იმას საყვედურობენ, რომ საერთოდ არ უსაუბრია იმ პრობლემებზე, რომელიც საქართველოს რუსეთთან აქვს, რის გამოც დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, რაც თავის თავად აფერხებს საქართველოს მდგრად განვითარებას. მათივე განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ გაეროს საიუბილეო ასამბლეა მართლაც მდგრადი განვითარების საკითხებს ეძღვებოდა, უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ მთელი მსოფლიოს გასაგონად ისაუბრა უკრაინაში რუსეთის დესტრუქციულ ქმედებებზე. პრემიერის მტკიცებით, დასავლელი პარტნიორები ჩვენ რუსეთთან წარმოუხერხებელი ფართელი პოლიტიკის მხარს უჭერენ. თქვენ როგორ შეაფასებდით პრემიერის გამოსვლას? რუსეთის მიმართ სიფრთხილე ცუდი არ უნდა იყოს, მაგრამ „საქართველო გამჭრიახი საერთაშორისო რადარებიდან“, რაზეც ხელისუფლებას ოპოზიცია საყვედურობს?**

— ჩვენი საგარეო პოლიტიკა რუსეთის მიმართ შეიძლება დავასასიათოთ სამი სიტყვით — მთავარი, რუსეთი არ გავალიზიანოთ. ზედმეტი არაფერი ვარგა. როცა გაერო-ს ტრიბუნაზე მხოლოდ ნახშირბადზე, C ჰეპატიტისა და ჯანდაცვაზე ლაპარაკობ, გამოდის, რომ შენს ქვეყანას მეტი არაფერი პრობლემა არა აქვს. თუ საუბარია საქართველოს მდგრადი განვითარების პრობლემებზე, ოლაპარაკე იმაზეც, რომ რეგიონში მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია სიმშვიდე, აუცილებელია, საქართველო იყოს სტაბილური, ძლიერი და ამისთვის საქართველოს დახმარება სჭირდება. მაშინ პრემიერს ხელს არაფერი უშლიდა და ეს რუსეთს ნამდვილად არ გადაიზიანებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ზედმეტი მოინდომეს და ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ რუსეთი არ გალიზიანებულყო. ბევრჯერ მითქვამს, ამაში არის გარკვეული ლოგიკა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ზედმეტი არაფერი ვარგა.

— **აშშ-ის პრეზიდენტიმა ობამამ გაერო-ში გამოსვლისას განაცხადა — „თუ რომელიმე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ირღვევა, ჩვენ გვერდზე ვერ დავდგებით“. სამწუხაროდ, მან გაერო-ს ტრიბუნაიდან მხოლოდ უკრაინაზე ისაუბრა...**

— ის, რომ რუსეთთან დაკავშირებით ნაწილობრივ ამოვარდნილი ვართ საერთაშორისო პოლიტიკიდან, ეს ბუნებრივია, უპირველესად ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ. ჩვენ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მართლაც ვიყავით მსოფლიო რადარებზე. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გაუღებდა ახალი პოლიტიკური დოქტრინა, რომლის არსი ასეთი გახლდათ — საქართველო არ უნდა

იყოს დაპირისპირების საგანი ზესახელმწიფოებს შორის. კი ბატონო, საქართველო დიდ სახელმწიფოებს შორის არ უნდა გაიჭყლიტოს, ამაში არის ლოგიკა, მაგრამ ყველაფერს ზომა და წონა აქვს. თუ მას ზედმეტად და დიდი მონდომებით აკეთებ, არ უნდა გავიკვირდეს, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ყურადღებიდან საერთოდ გაქრები. სამწუხაროა, რომ პრემიერს გაეროში არანაირი სერიოზული შესვლაც არ ჰქონია დასავლეთის ქვეყნების ლიდერებთან. ერთი რაც ვნახეთ, მერკელმა ჩამოართვა ხელი ჩვენს პრემიერს და წარმატებები უსურვა. ეს იყო და ეს.

— **ნიუ-იორკში ვიზიტით მყოფი რუსეთის პრეზიდენტი პუტინი გაერო-ს ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა, მას უსწვდრდა ჰქონდა პრეზიდენტი ობამასთან. მან დასავლეთს სირიაში „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის გეგმა შესთავაზა, რუს ექსპერტთა მტკიცებით, პუტინს სურდა, ერთი გასროლით „მოეკლა“ და გადაეწვიტა რუსეთის როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური პრობლემები. თქვენი აზრით, რამდენად შე-**



რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ურთულასი ასპექტები სჯარო სივრცეში უნდა განიხილებოდეს

საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ ჯიბა-ს პროფესორს, საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების ექსპერტს თორნიკე შარაშენიძეს ესაუბრა.

დეგანი აღმოჩნდება აშშ-ში პუტინის ვიზიტი რუსეთისთვის, რომლის წინააღმდეგაც დასავლეთს ეკონომიკური სანქციები აქვს დაწესებული?

— უნდა ვალიაროთ, რომ პუტინმა მიაღწია ერთ მიზანს, მსოფლიოს ყურადღება უკრაინის პრობლემიდან სირიაზე ნაწილობრივ მაინც გადაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში სიტუაცია ჩანაყინდა, შესაძლოა, ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ „ბოვიკები“, რომლებიც დონბასში ჰყავდა, ახლა სირიაში გადაისროლა. პუტინმა თავის მიზანს იმ გზებით მოაღწია, რომ უკრაინას დონბასის ნაწილი დროებით წაგლიჯა, ანუ იქ სიტუაცია გააფუჭა. ახლა მისი მთავარი მიზანია, დაჯდეს ობამასთან მოლაპარაკების მაგიდასთან და კვლავ მიიღოს მსოფლიოს პოლიტიკურ ელიტაში. სირიის თემით პუტინს ნიუ-იორკში ვიზიტის მიზანი იყო ის, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ ელიტასთან ამ თემით მაინც ევაჭრა. ფაქტია, რომ სხვა თემებზე, იგივე უკრაინაზე დასავლეთი მას არც ევაჭრება. პუტინმა სირიის თემით თამაში კი დაიწყო, მაგრამ რით დამთავრდება ეს, ძალიან რთული სათქმელია. არა მგონია, რომ რუს „ბოვიკებს“ სირიაში იოლი გასეირნება ელოდებოდეთ. საერთოდ, რუსეთს, როგორც ქვეყანას, დიდი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები აქვს და ასეთ ვითარებაში რომ სირიაში ჯარებს გზავნის, ეს თავისთავად ძალიან დიდი რისკია. სირიაში ჯარების გაგზავნას ამერიკა მოერიდა, რუსეთი კი არ მოერიდა. მარტივი კითხვა ისმის — რუსეთი ამერიკაზე ძლიერია დღეს? არანაირად და არც ერთი პარამეტრით. ამიტომ რუსეთისთვის სირიაში ჯარების გაგზავნა საკმაოდ დიდი სირკის შემცველია. ვფიქრობ, კრემლის მიერ სირიაში დაწყებული კამპანია მისი, როგორც იმპერიის კუბოზე, კიდევ ერთი დიდი ლურსმანი იქნება.

— **საზღვარი მოკვდა ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ შეიძლება ქართულ ენერგეტიკაში რუსული გაზის წილი გაიზარდოს. უცნაური აქ განსაკუთრებით ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუშიშვილის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ამის შესახებ „ინფორმაციას არ ფლობს“. არადა, კალაძე და ქუშიშვილი ერთი მთავრობის წევრები არიან. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს ქართულ ენერგეტიკაში რუსული გაზის გაზრდა? და კიდევ, საგარეოდ, რატომ არ აქტიურობს ოფიციალური თბილისი იმის მისაღწევად, რომ ჩვენთან ირანული გაზი შემოვიდეს. ანვარამ და თეირანში კი მოილაპარაკეს ირანული გაზის ევროპაში ტრანზიტისთვის თურქეთის ტერიტორიის გამოყენებაზე, მაგრამ ისეთი ძირი უნდა, რომ სირიის გამო ირანი და თურქეთი ამ თემაზე სულ მცირე 3-წლიანი ვერ შეთანხმდებიან. ასეთ ფონზე ჩვენ ამ მიმართულებით რატომ არ ვაქტიურობთ?**

— ენერგეტიკის საკითხებში კომპეტენტური ნამდვილად არ ვარ, მაგრამ, ალბათ, ბევრმაც კი იცის, რომ რუსულ გაზზე ჩამოკიდება კარ-

გი ნამდვილად არ უნდა იყოს. რა ბედი ეწიბათ იმათ, ვინც რუსულ გაზზე იყო ჩამოკიდებული, ყველაფერი ვნახეთ. კრიტიკულ მომენტში „გაზპრომმა“ ევროპელ პარტნიორებს ყველას გაუძვირა გაზის საფასური. სხვათა შორის, რუსეთმა გაზის ფასი ჩვენც გაგვიძვირა. მაშინ, ზამთარში გაზის გაძვირების კატასტროფისგან გვისხნა აზერბაიჯანმა, დაიწყო რა ჩვენთვის გაზის მოწოდება. ლოგიკურად იზადება კითხვა — რაშია საქმე, არ გვეოფნის აზერბაიჯანული გაზი? დაეუფვით, ასეა, მაშინ აგერაა ირანული გაზი და რატომ ვდგამთ ამ მიმართულებით ეკონომიკურად და პოლიტიკურადაც გაუგებარ ნაბიჯებს? ამაზე პასუხს არავინ არ გვცემს. თუ ერთ მშვენიერ დღეს გავიგებთ, რომ ჩვენ ისევ „გაზპრომს“ ჩამოვკეცდით, ეს უკვე კატასტროფა და, შესაბამისად, მასზე რეაგირებაც ძალიან გვიანი იქნება. ამ კონტექსტში მე უმთავრესად მქვენებლად მჩვენებდა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუარესება, რაც ძალიან ბევრ რამეში გამოისახება, მათ შორის, აშკარად მიზანმიმართულ პროვოკაციებში, მხედველობაში მაქვს ფეხბურთის მატჩების დროს მომხდარ ინციდენტებს.

ტიკარადაც გაუგებარ ნაბიჯებს? ამაზე პასუხს არავინ არ გვცემს. თუ ერთ მშვენიერ დღეს გავიგებთ, რომ ჩვენ ისევ „გაზპრომს“ ჩამოვკეცდით, ეს უკვე კატასტროფა და, შესაბამისად, მასზე რეაგირებაც ძალიან გვიანი იქნება. ამ კონტექსტში მე უმთავრესად მქვენებლად მჩვენებდა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუარესება, რაც ძალიან ბევრ რამეში გამოისახება, მათ შორის, აშკარად მიზანმიმართულ პროვოკაციებში, მხედველობაში მაქვს ფეხბურთის მატჩების დროს მომხდარ ინციდენტებს.

— **ვისაც არ ეზარება, ხელისუფლებას არაფერქურთობას და უნიათობას კი საყვედურობს, მაგრამ მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა 2014 წელს მთავრობის ეფექტურობის ხარისხი ბოლო 18 წლის განმავლობაში. 6-ე ინდიკატორში (გამოსატვის უფლება და ანგარიშგაღებულება, პოლიტიკური სტაბილურობა, მთავრობის ეფექტიანობა, რეგულაციების ხარისხი, კანონის უზენაესობა, კორუფციის კონტროლი) საქართველოს მაჩვენებელი მზარდია. 2014 წლის საქართველოს ეფექტურობის მაჩვენებელი 71,6%-ს შეადგენს. იგივე მაჩვენებელი 2012 წელს კი 69, 9% შეადგენდა...**

— ეს არის ის, რითაც თავს ინონებდა წინა ხელისუფლება. ასეთივე მაღალი მონაცემები ჰქონდა „ნაციონალებს“ ხელისუფლებას და

საერთოდ ამ რეიტინგებში საქართველოს მოხვედრა მათ დროს დაიწყო, მაგრამ მოსახლეობის ნაწილი წინა ხელისუფლების საქმიანობით მაინც ძალიან უკმაყოფილო იყო. ხალხმა ქვეყნის მაღალი ინდექსები თავის ჯიბეზე თუ ვერ იგრძნო, ეს მონაცემები მათთვის ცარიელ რეიტინგებად დარჩება. იგივე პრობლემა ჰქონდა წინა ხელისუფლებას. ყველა აღიარებდა, რომ ისინი ინდექსებში, რეიტინგში და პირში მაგრები იყვნენ, მაგრამ მოსახლეობას რა ხეირი? არც არაფერი. დღევანდელ ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ საერთაშორისო კვლევებში მაღალმა რეიტინგებმა წინა ხელისუფლება ხალხის გულისწყრომას ვერ გადაარჩინა.

— **გახშირდა საუბარი იმაზე, რომ საქართველოში სულ უფრო შესაძლებელი გახდა რუსული „რბილი ძალა“. ფაქტია, რომ აშკარად გააქტიურებული არიან პრორუსული ორგანიზაციები. ამის მიზეზად ძირითადად რუსული კაპიტალი სახელდება. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— პრინციპში შეიძლება ითქვას, რომ რუსულმა კაპიტალმა საქართველოში დასაყრდენი იპოვა. პრორუსულად განწყობილი ქართველი პოლიტიკოსები, ყურნალისტები და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები აქამდე ჩუმად იყვნენ, მაგრამ ახლა ძალია იგრძნეს. აშკარად შეგულისხმებული არიან, ვინაიდან მათ საქმიანობაში ხელისუფლება ხელს არანაირად არ უშლის. ასეთ ვითარებაში ისინი თავს მშვენივრად გრძობენ. ეს ძალიან შემაშფოთებელია. როცა სახელმწიფო ხელს არ უშლის, ბუნებრივია, გაუჩნდება განცდა, რომ სახელმწიფო მათ აზრს იზიარებს.

— **თქვენი აზრით, მათ აქტიურობაზე რატომ არანაირად არ რეაგირებს ხელისუფლება?**

— ჩემი აზრით, ეს იმის გაგრძელებაა, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. ხელისუფლება ცდილობს, დაანახოს რუსეთს, რომ ჩვენ „კარგად ვიქცევით“ და არ ვაძლევთ მათ აგრესიულად ქმედების არანაირ საბაბს. სხვა რაციონალური ახსნა ამას არ აქვს.

— **პრორუსული განწყობების ზრდის მიზეზი იმაში ხომ არ შეიძლება იყოს, რომ დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდეგ არც ერთ ხელისუფლებას არ უზრუნია, ხალხს ვგრძნო, რომ დამოუკიდებელ ქვეყნად ყოფნა აშკარად სჯობია დიდ იმპერიის ნაწილად ყოფნას? რეალურად ხალხს დამოუკიდებლობის სიკეთეები არც უგრძნია...**

— სამწუხაროდ, ის სიკეთეებიც კი, რომლებიც რეალურად არსებობს, ხალხს უნდა დაანახოს და ხალხმა იგრძნოს. მაგალითად, ის, რომ გაცილებით უკეთესია, როცა გაქვს სიტყვის თავისუფლება და იმას უყურებ, რაც გინდა, სადაც გინდა ნახავდ და წამოხვალ. ჩემი აზრით, ჩვენს სერიოზულ გამოწვევად რჩება განათლებული პრობლემა. ხალხმა ელემენტარული რამ არ იცის. როცა ქუჩაში გამოვარდები და ქვეყნის ნეიტრალიტეტს ითხოვ, ის მაინც უნდა იცოდეს, რომ საქართველო ნეიტრალური რუსეთის დაუფინებელი მოთხოვნით იყო 1920 წელს, მაგრამ მან ეს შეთანხმება ერთ წელიწადში დაარღვია, არაფრად ჩააგდო ჩვენი ნეიტრალური სტატუსი და დაგვიპყრო. ვინც ნეიტრალიტეტს ითხოვს, ეს მაინც ხომ უნდა იცოდეს, ამდენი პრობლემა არ გვექვემდებარება. ვიმეორებ, ჩემი აზრით, ჩვენი საზოგადოების პრობლემა განათლებულია და ეს პრობლემები გვაქვს ძალიან სერიოზულად მოსაგვარებელი.

— **რამდენიმე დღეში არჩევნები გაიმართება საგარეო და მარტივის რაიონებში. საგარეო და მარტივის არჩევნებს ინტრიგის ის მატებს, რომ ერთმანეთის კონკურენტები არიან „ქართული ოცნება“ — „რესპუბლიკელების“ წარმომადგენელი სიდაშვილი და „პარტიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი. ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ამ არჩევნების შედეგები ბევრად განსაზღვრავს 2016 წლის არჩევნებზე ორივე პარტიის სიძლიერეს. მეტიც, ზოგი იმასაც ვარაუდობს, რომ თუ „რესპუბლიკელი“ საგარეო და მარტივის რაიონებში გაიმარჯვებს, საგარეო და მარტივის კოალიციაში რამდენად დიდია ამის ალბათობა?**

— „არა მგონია, ამ არჩევნებმა მმართველ კოალიციაში სერიოზული რყევები გამოიწვიოს. მე როგორც ვაკვირდები, ირმა ინაშვილს საგარეო და მარტივის ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო კამპანიის სანარმოებლად ძალიან დიდი კომფორტი აქვს შექმნილი. როგორც მითხრეს, ინაშვილს საგარეო და მარტივის საარჩევნო კამპანიის წარმოებისას საკუთარი დაცვის გარდა, უკან მანქანებით სუს-ის ხალხი დაჰყვება. რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება საგარეო და მარტივის ინაშვილის გაყვანაზე მუშაობს, ანუ იმაზე მუშაობს, რომ პარლამენტში გაჩნდეს ძალა, რომლითაც დაასუსტებს და კიდევ უფრო დააშინებს „ნაციონალისტებს“.“

კოვა პინდელიანი

		დაცვის შესახებ: „ზუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლობის შესახებ“ და „წილის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წილის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წილით სარგებლობისას იმეათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აგრონომის ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.
		დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).
		ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ზუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფმა პროექტების პრეზენტაცია გამართა. საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ერთი წლის წინათ შეიქმნა. მისი ამოცანა ახალი ეკონომიკური საქმიანობის განვითარების მიზნით სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტენსიური თანამშრომლობის ხელშეწყობაა. აღნიშნული ჯგუფი ქვეყნისთვის ახალი ეკონომიკური საქმიანობის პროექტების იდენტიფიკაციას ასევე და კონკრეტული ბიზნესგეგმების მომზადებაზე მუშაობს.

ასანთის ჩვენი გვეყვება და ფოლადის მიღების!

13 ბიზნესგეგმა, რომელიც კონკრეტული სანაარმოს შექმნას ითვალისწინებს

როგორც ინდუსტრიული განვითარების ჯგუფში აცხადებენ, ამ პროექტების სრული საინვესტიციო ღირებულება, დაახლოებით, 80 მილიონ დოლარს შეადგენს. ბიზნესგეგმების სანარმოვად ქვეყნის შემთხვევაში უშუალოდ 1000-ზე მეტი, არაპირდაპირ კი დამატებით რამდენიმე ათასი ადამიანის დასაქმება მოსალოდნელია. ინდუსტრიული განვითარების ჯგუფმა არსებული პროექტები ბიზნესგეგმების წარმომადგენლებს დეტალურად გააცნო. ამ ეტაპზე მომზადებული პროექტების მოკლე მიმოხილვა ასეთია:

ჩიის გადამამუშავების სანაარმო – პროექტი გულისხმობს რძის გადამამუშავებელი და რძის პროდუქტების მწარმოებელი სანარმოს შექმნას. მასში ადგილობრივი ფერმერები იქნებიან ჩართულები. სანარმოს ადგილმდებარეობისთვის შეირჩა ეკოლოგიურად სუფთა ალპური ზონა – ქვემო ქართლში, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერთა. სანარმო თანამედროვე ტექნოლოგიებით იქნება აღჭურვილი, სადაც მოხდება რძის ფხვნილის, კარაქისა და ყველის წარმოება. მის პოტენციურ პარტნიორებად „მილკო“, „სანტე“ და „სოფლის ნობათი“ განიხილებიან. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 12 500 000 აშშ დოლარია.

მუყაოს ყუთების წარმოება – 2014 წლის მონაცემებით, ქალაქისა და გოფრირებული მუყაოს შეფუთვის ბაზარი 173.5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. სავარაუდოდ, 2020 წლისთვის მუყაოს შეფუთვის ბაზარი 213 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. პროექტის მიზანია საქართველოში მაღალი ხარისხის მუყაოს შესაფუთი ყუთების წარმოება, რომელიც დროთა განმავლობაში წარმოებას გააფართოვებს. თავდაპირველად პროდუქტის გაცენა მოხდება ადგილობრივ ბაზარზე, სადაც დღესდღეობით დიდი წილი იმპორტირებული საქონელს უკავია. წარმოების გაფართოებასთან ერთად, მოხდება პროდუქტის ექსპორტზე გატანა. ქართული პროდუქტისა უცხოურ ბაზარზე კონკურენტული უპირატესობით ისარგებლებს, რაც დაბალი ფასით გამოიხატება. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 4 500 000 აშშ დოლარია.

ასანთის წარმოება – სანარმო სხვადასხვა მომწოდებლების მანქანა-დანადგარებით დაკომპლექტდება. ღერების დასამზადებლად საჭირო ნედლეული ადგილობრივად (სანედლეულო ბაზა – ფიჭვი – სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი) დამზადდება. ქიმიური მასალების მომწოდებლად კომპანია „Arenco“ განიხილება. წინასწარი გათვლებით, სანარმო 50 ადამიანს დასაქმებს. დაგეგმილი წლიური სიმძლავრე – 70 მლნ კოლოფი. მისი სავარაუდო გასაყიდო ფასი 3-4 თეთრი იქნება, თვითღირებულება კი 1-2 თეთრი. სანარმო გათვლილია იმპორტის 45%-ის ჩანაცვლებაზე. წარმოების დაწყება შედარებით მცირე ინვესტიციას მოითხოვს. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 1 500 000 აშშ დოლარია.

ეთიოპიის წარმოება – საქართველოში ეთერზეთების საკმაოდ დიდი რაოდენობით იმპორტი ხდება. ეთერზეთების მოხმარების მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა გერმანია, ბელგია, ირლანდია, ნიდერლანდები და დიდი ბრიტანეთი. პროექტის ფარგლებში იგეგმება სანარმოს გახსნა, რომელიც ეთერზეთის წარმოებაზე მოახდენს პოზიციონირებას. სანარმო ხარისხითა და ფასით სავითარებო ფარმაკეუტულ და პარფიუმერულ ინდუსტრიებს დააკმაყოფილებს. პირველი წლის განმავლობაში კომპანია, დაახლოებით, 250 ტონა ნედლეულს გადაამუშავებს და წლიდან წლამდე დაგეგმილია წარმოების ზრდა, რომელიც, წინასწარი გათვლებით, წარმოების მეხუთე წელს დაახლოებით, 700 ტონას მიაღწევს. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 264 170 აშშ დოლარია.

სამკერავლო სანაარმო – დღესდღეობით მსოფლიოში ტანსაცმლის ბაზრის მოცულობა 1.100 მილიარდი აშშ დოლარია. საქართველოს აქვს კონკურენტული უპირატესობა შრომასა და ენერჯეტიკაზე დაბალი დანახარჯების გამო, აქვს დაბალი გადასახადები, ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო და დსთ-სა და ევროპის ქვეყნებთან სავაჭროდ საექსპორტო პლატფორმას წარმოადგენს. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ადგილობრივი სანარმოს საქმიანობა გულსიმბოზს პარტნიორი უცხოური კომპანიის ბრენდის ქვეშ, მისი დაკვეთით შიდა გადამამუშავებისთვის საქართველოში იმპორტირებული ტექსტილის ნედლეულისგან მზა პროდუქტის შეკერვას, შეფუთვისა და შემკვეთისთვის მიწოდებას წინასწარ განსაზღვრულ ფასად და რაოდენობებზე. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 2 000 000 აშშ დოლარია.

დაფნის გადამამუშავება და ეთიოპიის წარმოება – საქართველო დაფნის გამომშრალი ფოთლების ექსპორტის წლების განმავლობაში ახორციელებს, თუმცა, დაფნა ბრენდირებული არ არის და, შესაბამისად, ხშირია ფაქტი, როდესაც პოლონური კომპანიები ქართულ დაფნას ყიდულობენ და მისი დაბრუნების შემდეგ რეალიზაციას რუსეთსა და სხვა ქვეყნებში ახორციელებენ. ბრენდირებული და დაფნის ეთერზეთის მიღებას არამდენიმე ალემატება წინით საბითუმო ფასებში რეალიზებულ დაფნას. საქართველოში ეთერზეთების გამართული სანარმო აღარ ფუნქციონირებს. არსებობს რამდენიმე მცირე სანარმო, რომელიც დაფნის ეთერზეთის მიღებას პრაქტიკულად, კუსტარულ პირობებში ახორციელებს, თუმცა, მათი ხარისხი და ტექნოლოგიები საექსპორტო პროდუქტის მოთხოვნებს არ შეესაბამება. ამჟამად საქართველოდან მხოლოდ რუსეთში 3 000 ტონამდე დაფნა გადის. ექსპორტების შეფასებით, საქართველოს პოტენციური დაფნის წარმოებასა და ექსპორტში წელიწადში 25 000 ტონას შეადგენს. ექსპორტიორ ქვეყნებს შორის არის თურქეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ნიგერია, ფილიპინები, უზბეკეთი. პროექტის ფარგლებში ბაღდათის რაიონში დაფნისა და დაფნის ეთერზეთების გადამამუშავებელი სანარმოს გახსნა იგეგმება, რომელიც ადგილობრივი გლეხების მიერ მოყვანილ დაფნას გადამამუშავებს. წარმოებული პროდუქტისა ექსპორტო ბაზრებისთვის იქნება განუთვინელი. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 832 369 აშშ დოლარია.

სამკერავლო-მოსაპირკეთებელი ქვეშის სანაარმო – პროექტის მიზანია მარნეულსა და ფოთში სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვის გადამამუშავებელი სანარმოების შექმნა. სანარმოებში სხვადასხვა ბუნებრივი ქვის ბლოკების (გრანიტი, მარმარილო, დიაბაზი და სხვა) გადამამუშავებენ და ქვის ფირფიტებს (ე.წ. სლები), სტანდარტული და არასტანდარტული ზომის მოსაპირკეთებელი ფილებისა და სხვა დამამუშავებელი დეტალების წარმოება მოხდება. ნედლეულად გამოყენებული იქნება როგორც იმპორტირებული, ასევე საქართველოში მოპოვებული ქვის ბლოკები. სანარმოების პროდუქტისა ძირითადად, ექსპორტზე იქნება ორიენტირებული, თუმცა, ადგილობრივ ბაზარზეც გაიყიდება. მარნეულში პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 2 000 000 აშშ დოლარია, ხოლო ფოთში – 5 000 000 აშშ დოლარია.

მეხანობის საქსპორტო კომპანია – პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია იმერეთის რეგიონში კერძო საექსპორტო კომპანიის ჩამოყალიბება, რომელიც კოორდინაციისგან შეისყიდის სერტიფიცირებულ ნედლეულს (შესყიდვა 20 ტ. – თვიურად, სეზონი – 7 თვის განმავლობაში) და მოახდენს მის პირველად დამამუშავებასა და დაფასობას. პროექტის ფარგლებში მოხდება სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობების განვითარება. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 1 000 000 აშშ დოლარია.

ფოლადის მიღების წარმოება – დღესდღეობით საქართველოს ბაზარზე რეალიზებული პროფილური მილების უმეტესობა იმპორტირებულია, თუმცა, ისინი ადგილზეც იწარმოება. პროექტის ფარგლებში რუსთაველი პროფილური მილების სანარმოო ქარხნის დაფუძნება იგეგმება. წარმოებული პროდუქტის გაყიდვა მოხდება ადგილობრივ ბაზარზე მოქმედ სამშენებლო კომპანიებზე. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 3 662 272 აშშ დოლარია.

კალსიუმის მოპოვება და გადამამუშავება – პროექტის მიზანია ქუთაისში კალციუმის გადამამუშავებელი სანარმოს შექმნა, რომელიც მოპოვებულ ბუნებრივ კრისტალურ კალციტს გადამამუშავებს და აწარმოებს მიკრონებამდე დაფუძვლილი, დაქუცმაცებული სახით, რაც დაფუძვის მიხედვით, სხვადასხვა ბაზარზე გავა. სანარმოს პროდუქტისა ძირითადად ექსპორტზეა ორიენტირებული, თუმცა, ადგილობრივ ბაზარზე არსებული საკმაოდ დიდი მოთხოვნის გათვალისწინებით, საქართველოშიც გაიყიდება. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 4 000 000 აშშ დოლარია.

ბიზნესილის საქსპორტო სანაარმო – ადგილობრივი სანარმოს საქმიანობა იმპორტირებული ძაფით, თანამედროვე მანქანა-დანადგარებით ადგილობრივი სამკერავლოებისთვის მაღალი ხარისხის ტექსტილის მიწოდებას გულისხმობს. მაქსიმალურ დატვირთვაზე მოცემული პროექტი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად 500 000 მეტრი ტექსტილის წარმოებაზეა გათვლილი, საიდანაც 240 000 საშარველ და 260 000 საპერანგე ქსოვილია. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 1 950 000 აშშ დოლარია.

მოსაპირკეთებელი ქვეშის სანაარმო – პროექტის განხორციელება ლაბორატორიის შექმნითა და თიხის საბადოების დეტალური კვლევით იწყება. შემდეგი ეტაპია ნედლეულის მოწოდება. წარმოების დაწყების შემდეგ, პირველ ეტაპზე მოხდება კაფელის დამზადება, მეორე ეტაპზე – მეტლახის, მესამე ეტაპზე კი – კერამოგრანიტის. წლიური მაქსიმალური დატვირთვა გათვალისწინებულია 6 მლნ. კვ.მ. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 31 მილიონი აშშ დოლარია.

ბიზნესსექტორის მხრიდან პროექტების განხორციელების შემთხვევაში, სახელმწიფო შემდეგ ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს – კერძოდ, მიწის ნაკვეთის გადაცემა ნომინალურ ფასად, „სანარმოე საქართველოს“ ფარგლებში იაფი სესხი, წილობრივი ინვესტიცია საპარტნიორო ფონდის მიერ, საექსპორტო ფინანსირების დახმარება და ასევე საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფის მხრიდან ტექნიკური დახმარება. როგორც ინდუსტრიული განვითარების ჯგუფში აცხადებენ, თბილისის ქვის გადამამუშავებელი და სამკერავლო სანარმოების პროექტებით ინვესტორები უკვე დაინტერესდნენ.

დედაშინის ჯურჯა



სათანაგზავრო სურათზე-ზე აღმოაჩინეს ჩინეთში და-გზავნაზელი პირველი ავიამ-ზიდი

ობიექტი, რომელიც მომავალი ავიამზიდის კორპუსს ჰგავს, დააფიქსირეს დალიანის პორტის გემთსაშენ ვერფზე ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში. მიუხედავად იმისა, რომ ავიამზიდების ჩინური პროგრამა გასაიდუმლოებულია, ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მრავალგზის მიუთითებდნენ მათს მშენებლობაზე. ადრე პენტაგონიც იუწყებოდა ჩინეთის მზადყოფნის შესახებ ააშენოს რამდენიმე ავიამზიდი უახლოეს 15 წელიწადში.

მულღოვამ მოითხოვა გამო-იხვეწოს რუსეთში მშენებლობის-მშენებლობაზე დენსტრისპირა-თიდან

როგორც გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიის ზოგადო-ლტიკურ დისკუსიაზე ნიუ-იორკში რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ვალერი სტრელოვიმ გა-ნაცხადა, კიშინიოვში მიაჩნიათ, რომ სამშენებლო ობიექტებზე, შე-ასრულა თავისი მანდატი და უკვე უნდა იყოს ტრანსფერირებული სამოქალაქო მისიად შესაბამისი საერთაშორისო მანდატით.


ამღანეთში აბრამო თაღი-ბაბს წაბრთვა საპარტო ჩრდი-ლოეთი ძალაში კუნდუნი

სელისუფლებამ ისაუბრა გააფ-თრებული ბრძოლების შესახებ ქალაქში, რომლის მოსახლეობაც 300 ათასს შეადგენს, და დიდ და-ნაკარგებზე „თალიბანის“ ბოიკო-კებს შორის. კუნდუნი, სადაც თავ-მოყრილია სტრატეგიულად მნიშ-ვნელოვანი მაგისტრალური, თა-ლიბებმა ორ შაბათს ჩაიგდეს სელთ.

ინდოეთში გადამარჩინეს ლეობარდი, რომელიც თაღით მწლს ტურქოში გაიძვინა

ლეობარდის თავი გაიჭედა, რო-დესაც მხეცი ცდილობდა წვალი დაეღია ქუჩაში მდგარი ლითონის ქურჭლიდან. შედეგად მან ვერ შე-ლო სივრცეიდან თავის ამოღება. საბრალო ცხოველი 5 საათის გან-მავლობაში საცოდავად დახეტი-ლობდა სოფელში, მან ორიენტაცია დაკარგა. სახლს ემზოდან ლეობარ-დთან მისვლა და არ იცოდნენ, რო-გორ დახმარებოდნენ მას.

ლაგროვამ პირსთან მოლა-ბარაპის დროს განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაცია სი-რიაში ბომბავდა მსოფლოდ „ის-ლამური სახელმწიფოს“ ტერ-ორისტების პოზიციებს და მო-ნაცემები მშენებლობის მოსახლე-ობის მხვეგრების შესახებ არ არ-სებობს. პირველი დიალოგი სამხედროებისა სირიის ცის „და-ყოფის“ შესახებ შეიძლება, გაი-მართოს უკვე სუთაბათს.



ნათია რუსაკი

აი რისთვის უნდა იღვწოდეს სახელმწიფო

შემოდგომის დადგა, მაგრამ ზაფხულს არ ეთმობა წასვლა, ცხელი დღეები, ყოველმხრივ ცხელი, თორემ ასტრონომიულ (ასტრალურ?) სიციხეს ვინ ჩივის... ვინ მოთვლის იმ პრობლემებს, რამაც ცხელი შეუნთო ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას. რა ხდება? — ემ, ბევრი რამ. ჯერ იყო და გაზაფხული გაგვიმწარა ბუნებამ. თუმცა, მოიცა და აბა ერთი, თავად ბუნებას ვკითხოთ, ვინ ვინ გაამწარა. ხალხსო, — შემოგვძახის ბუნება, გაიგეთ, რომ ჩვენი ვართ თქვენგან გამწარებულები და რაღა ვქნათ, რადგანაც თქვენი ამას ვერა ხედავთ, ავჯანყდით და აღვშფოთდით, გრიგალად ამოვფარდით, დავტრიალდით, ბაღ-ვენახები შეგიმუსრეთ, გზები ჩაგხეხეთ, სიმწრის ცრემლები სეტყვად დაგაყარეთ, მაგრამ მერე რა, ხედავთ კი თქვენს დანაშაულს?



ხალხს, არამედ სხვებსაც გამოკვებავს. მშრომელი ქართველი კაცი მზად არის სამოქმედოდ, ოღონდ მას მიმართულე-ბა და განათლება მიეცეს!

ემ, რამდენი ხანია გავიძახით განათლების სისტემის რეფორმებია საჭიროო. მერე, რა გავაკეთებთ ამისათვის. სიტყვა „რეფორმას“ შინაარსი გამოვაცხადო, ჩვენი დიდი მეცნიერების მიერ შექმნილი სკოლები, კვლევითი ინსტიტუტები დავანგრეთ, აღორძინების, ახალი ტექნოლოგიებით განახლებისა და გამდიდრების ნაცვლად გაგაჩანაგეთ აწყობილი ლაბორატორიები, სასოფლო-სამეურნეო დარგების ისე დავაკინეთ და დავამცირეთ, რომ ახალგაზრდობას ყოველგვარი სურვილი დაფუძვარებულ ამ პროფესიების შესწავლისა. არც ტექნიკური და საბუნებისმეტყველო დარგებია კარგ დღეში, ქართული მედიცინა ხომ სულს ღაფავს, ყველაფერი ეს გლობალიზაციისა და დემოკრატიის პირობებში რაში გვჭირდება ჩვენი თანა პატარა ერსო და აქცენტები ტურიზმზე აიღეს. ასეთი იდეების თეორეტიკოსები დღევანდელ მრავალდარსიან, მომავალ არჩევნებით ხელისუფლებაში მოსვლას გვპირდებიან და თანადგომას (ხმის მიცემას!) გვთხოვენ. ოღონდ აგვიჩიეთ და ქვეყანას აგვიყვავებთო. მათ ასეთ დედ-ყოფნას და ენთუზიაზმს ხელისუფლებაში მოსვლისთვის ვინ დაეძებს, ისინი ახლანდელ მთავრობას კი არ ოპონენტობენ, არამედ ხელს უშლიან მმართველობაში. მათ ყოველგვარ ნამოქმედარს — ავსაც და კარგსაც მხოლოდ ერთ — უარყოფით ჭრილში წარმოაჩენენ, რითაც ხალხის ერთ ნაწილს თავგზას უბნევენ და ხელისუფლების წინააღმდეგ, ან, უკეთეს შემთხვევაში, ნიჰილისტურად განწყობენ. ასეთ ადამიანებს ქვეყანა, ხალხი და მათი ყოფა ნამდვილად არ ენაღვლებათ. თორემ კახელი გლეხების უკმაყოფილებას სათავისოდ არ გამოიყენებდნენ და მეურნეებს განუზარებლად დნენ თუ რატომ ვერ შეფასდა წელს ყურძენი შარშანდელი ღირებულებით. თუმცა, ასეთი განმარტება თავად ხელი-სუფალთ დროულად უნდა მიეცათ გლეხებისთვის...

ჯერას სხელი დღეები საქართველოში

ჩემო ძვირფასო მკითხველო, კიდევ ერთხელ გავამახვილებდი ყურადღებას. განა, საკვირველება არ არის ყურძენის მოსავლის ჩაბარებაზე შექმნილი დავა და კამათი კახელ მევენახეთაგან. შარშან, ყურძენის მოსავლის შესაბამისი ფასებით ხომ მოიწონა თავი ჩვენი მთავრობამ: აი, რა კარგი საქმე გავაკეთეთ, კახელ მევენახეს ვენახზე შრომა-გარჯის სურვილი განვუმტკიცეთო! რა, ერთჯერადი იყო ეს აქცია? საკვირველია ყველაფერი ეს იმიტომ, რომ, რაც წელს ბუნებამ თავს დაგვატყდა, სეტყვა და გრიგალი მას შემდეგ თუ რამ გადარჩა, სასწაულია მართლაც და ამ გადარჩენილს, თვალ-მარგალიტივით მარცვალ-მარცვალ მოსაპოვებელს ფასი უნდა დადებოდა, შარშანდელთან შედარებით მეტი, თორემ ნაკლები ნამდვილად არა, რა თქმა უნდა, მაგრამ თურმე შარშანდელი ყურძენის მოსავლის ღირებულება ვერ გაყიდულა სათანადოდ, გვიმტყუნა თურმე რუსეთის ბაზარზე და სხვებმაც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, შარშანდელი ფასებით ნახალისებულმა კახელმა მევენახეებმა ეს საიდანიცოდნე, ვინ აცნობა, თორემ კი და გაათმავლებული შრომით და ხარჯებით იმუშავეს წლებიანდელი მოსავლისთვის.

ვინ ანესებს ამა თუ იმ ხილისა თუ ნებისმიერი სამეურნეო თუ სამრეწველი ნაწარმის ღირებულებას, ყურძენის ღირებულებას, ან გლეხის მონეულ ნაშრომ-ნაღვანს ყურძენს, ვაშლს თუ მანდარინს ვისგან ედება ფასი? ნუთუ მთავრობაა ყოველივე ამის შემფასებელი? ამ საკითხებს ხომ შესწავლა უნდა, ცოდნა უნდა, გაგება და მიგნება! უნდა დასხდნენ დარგის მუშაკები, იმუშაონ და გამოარკვიონ რა ხდება! რატომ ვერ გამოვდევით ფეხზე, რატომ გავლარობდით და დაგვჩაჩანაკდით. და არ გეჩვენებათ, რომ მივადექით იმ მტკიცებულ პრობლემას, რომლის გამოც დღევანდელი საქართველო ჩამორჩენილი და უსუსური ქვეყანაა? ვინ გავგარკვევს შექმნილ ვითარებაში, ვინ გავგვემს პასუხს? აი, ხომ ხედავთ საით წაგვიყვანა ფიქრმა და მიგვაყენა ყველაზე მტკიცებულ საკითხთან, ეს საკითხი არის განათლება. ჩვენ მოვიტოვეთ დარგის მუშაკების დამაჯერებელი და კომპეტენტური პასუხს. დამაჯერებლობა და კომპეტენტურობა მხოლოდ ცოდნიდან მოდის. სად არიან მერე ეს კომპეტენტური და პროფესიონალი მუშაკები. ჭკუა და ნიჭი არ გვაკვლია ქართველ ხალხს, მაგრამ ხომ ვიცით, რომ „ჭკვა ცოდნით მოიხმარების“, შეუძლიათ კი დღევანდელ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს გამოგვიზოდოს ის კადრი, ქვეყნის ეკონომიკას რომ სწორ გზაზე დაგვიყენებს, მოგვაყვანინებს ჩვენს საკუთარ პურს და მარილს, ჩვენს საკუთარ ჭარხალს და სტაფილოს და ბევრ, ბევრ უამრავ სხვა სურსათსა და საწარმოებს, რომელთაც, დღესდღეობით, სხვა ქვეყნებიდან ვსარგებლობთ, მაშინ, როდესაც, თუ ცოდნით და განათლებით მივუდგებით, ჩვენი დალოცვილი მიწა და დიდებოდა ფასი ყურძენის მოსავალს,

ხელისუფალთ ისიც მოეთხოვებათ, რომ ხალხის წინაშე წარდგნენ და უგერგილოდ თავი კი არ იმართლონ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციის წინაშე, არამედ წარმოგვიჩინონ თავიანთი ნაშრომ-ნაღვანიც და ისიც, რას გვგმავენ და რას გვიპირებენ მომავლისთვის. გაყალბებული ლარის პირობებში პენსიონერებისათვის 10 ლარის მომატება, ცოტა არ იყოს და ცინიზმს ხომ არა ჰგავს, მით უფრო, რომ თავიანთი მოღვაწეობის ურველივე ვადაში ისინი სულ მცირე 220-ლარიან პენსიას გვპირდებოდნენ!.. მაგრამ ხომ უნდა ყველაფერს დაკვირვებული გაანგარიშება, გათვლა და ბოლოს ახსნა მაინც რატომ მოხდა ეს ასე. დიას უნდა, რასაკვირველია, მაგრამ რაც მთავარია, ყოველივე ამას, უპირველეს ყოვლისა, ცოდნა უნდა! ცოდნა და პროფესიონალიზმი! — აი რისთვის უნდა იღვწოდეს დღეს სახელმწიფო!

ნამდვილად ცხელი შემოდგომაა საქართველოში!

გაულნარა სტურუა

მეც ამას გავიძახი, — რომ ვერ ვხედავთ ჩვენს უგუნურ დამოკიდებულებას ბუნებისადმი, ვიცით კი რას ჩავდევართ, როგორ ვებრძვით და ვანადგურებთ მას? მაღალი, ულამაზესი, ვარსკვლავებით მოჭედული ზეცას ბენზინ-მაზუთით გაჟღენთილი ღრუბლები ავაფარეთ... ნაცვლად ტანკენარი, მარადმწვანე ხეებისა, რკინა-ბეტონით მოვჭედეთ მინა, ნკრილა-ცქრილა მდინარეები ნაცვით ავაფარეთ... და რას გვიშვრება, რას გვებრძვის ბუნებამ, კიდევ ურცხვად გავიძახით! განა მარტო ჩვენ, არანაკლებ დიდ დღეშია სხვა კონტინენტებიც, დამახინჯებულია მთელი პლანეტა... ზოგან მიხვდნენ, რა შორს წასულან თურმე. უნდა და ცდილობენ შეცდომები გამოასწორონ სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით. ჩვენ კი... რა გავაკეთებთ ბუნების, ანუ იგივე ჩვენს სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ? დავკვირვებთ ბუნებამ ის გზა, რომელიც არ შეეფერებოდა ჩვენს ქალაქს, მიგვახვედრა, რომ აქ ამის ადგილი არ არისო, ჩვენ კი არ ვუფერებთ მას, კვლავ იმ გზას ვადგევართ, რომელიც არც ძველია და არც ახალი უნდა იყოს.

უზარმაზარი გორებით შემოფარგლულ ქალაქს სანიავე არ დაფუტოვებ, გიგანტური მრავალსართულიანი სახლებით ჩაგხეხეთ, ჰაერის მოძრაობა კიდევ უფრო შეგაფერხებ. უანგზადას რას დავეძებო, ოღონდ ბინა გვექმნდეს არა ერთი და ორი, არამედ რამდენიმე, საშვილიშვილო. ცხოვრებას როგორ და რატომ ვინ ყობთ, უფანგბადო და უშაერო ქვეყანაში? ბინები კი არა და ზოგი კოშკებს იშენებს. კი აშენონ ბატონო, მაგრამ აშენონ იქ, სადაც აუცილებელია აშენება, ცოდნით, გაგებით და რაც მთავარი, — გეგმით. მაგრამ სად არის გეგმა და ცოდნა, სასახლეებს ვიშენებთ მაშინ, როცა თურქეთიდან შემოზიდული ტანისამოსი გვაცვია, ჩვენი მოქსოვილი ბადეებიც კი არა გვაქვს, რომ ჩვენს მდინარეებში თევზი მოხერხებულად დავიჭიროთ, საჭმელ-სასმელი სურსათ-სანოვაგეც — იმპორტული, სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი. ერთი მოაზროვნის სიტყვებით მინდა ამოვიცხოვრო: „ვაი ერს, რომელსაც მოსავს საომოსი თვითონ რომ არ მოუქსოვია, — ჭამს პურს, თვითონ რომ არ მოუწევიან, — სვამს ღვინოს, თავის სანახეველში რომ არ დაუნურავს“ და ბარემც ვავაგრძელებ ჯიბრან ხალილ ჯიბრანის სიტყვებს: „ვაი, ერს, რომელიც გმირად მიიჩნევს ტრაბახს ხეპრეს და ბაქია დამპყრობელი დიდსულოვანი ქველი ჰგონია.“ და ჯიბრანის სტილით თუ მივყვე-ბით რამდენი „ვაი“ გვაქვს საძახებელი! განა ვაი არ არის ჩვენი სასამართლო და პროკურატურა, კაცს აპატიმრებენ გაუაზრებლად, ნუთუ უსაბუთოდ და უსაგნოდ? რა ხდება? კანონის დამცველები თავად არღვევენ კონსტიტუციას? სასწაულია პირდაპირ! თავად ანესებენ და თავადვე არღვევენ. რატომ არ ფიქრობენ საზოგადოებაზე, ხალხზე, მათ წინაშე პასუხისმგებლობის ნუთუ ნატამალიც არ გააჩნიათ?

დიას, საკვირველებაა ქართველი ხალხის ყოფი. ვიღაცები ზემოთ კანონებს ვითომ დიდი ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით ქმნიან, თანაც ხალხს ამადლიან — აი, რამდენს ვმუშაობთ სახელმწიფოს ასაშენებლად, დიდი ხელფას-პრემიებით როგორ არ გვეკითხვისო და ამ კანონებს მერე თავადვე სიამოვნებით არღვევენ... ვინ ჩამოთვლის რამდენ საკვირველებასთან გვაქვს საქმე, მათ შორის თქვენი ნებართვით,

ალიან-ჩალიანი

ნოდარ ჯაპახიშვილი აფასებს

რამდენიმე განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯაპახიშვილი სამი წლის განმავლობაში ხელისუფლების საქმიანობას დადებითად აფასებს. მისი თქმით, ხელისუფლება სწრაფი ნაბიჯებით მოქმედებს, მაგრამ ეს ჯერ შორს არის საჭიროებიდან.

„საზოგადოება ძალიან კარგად ხედავს, რომ გაუმჯობესდა სამუშაოების ხარისხი. წარმოდგენილად დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა, თუნდაც ავტობანზე. სწრაფი ნაბიჯებით მივდივართ წინ, მაგრამ ეს ძალიან შორს არის საჭიროებიდან და ჩვენი სურვილებიდან. იმედი, კიდევ უფრო დაჩქარდება ტემპები. იმედი, რომ მსოფლიოშიც აღარ იქნება ეკონომიკური კატაკლიზმები და არ გვექმნება საფუძველი, ვისაუბროთ გარე უარყოფით ფაქტორებზე. ეს მოგვეცემს შესაძლებლობას მაქსიმალური ძალისხმევით და მაქსიმალურად ეფექტურად ვიმოქმედოთ“, — განაცხადა ჯაპახიშვილმა.

საინფორმაციო სამსახურს ბიორბი

ბიორბი უხელმძღვანელებს

საზოგადოებრივი მართვის საინფორმაციო სამსახურის უფროსად პოლიტოლოგი გიორგი გვიმრაძე დაინიშნა. ალიან-ჩალიანი ინფორმაცია საზოგადოებრივ მართვის უფროსად დაადასტურეს. მათი ინფორმაციით, ახალი ხელმძღვანელი „მოამბის“ გუნდს მართავს.

ლიის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბარათაშვილმა გუშინ დილით წარუდგინა.

გიორგი გვიმრაძე წელიწადნახევრის განმავლობაში საზოგადოებრივ მართვის უფროსად მუშაობს და მუშაობის ახალი სტრატეგიისა და გეგმითა და ნიუსრუმის პროექტის თანაავტორია.

იაპონიაში - საქართველოს გამოფენაში

საპარტიზელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ იაპონიაში საერთაშორისო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

ტოკიოს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „JATA 2015“ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად Caucasus Travel, Georgian DMC, Visit Georgia, Concord Travel, Explore Georgia მონაწილეობდნენ.

ტოკიოს რიგით 27-ე საერთაშორისო გამოფენას 141 სახელმწიფოს 1161 ორგანიზაცია მონაწილეობდა, გამოფენას 173602 სტუმარი დაესწრო. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული გამოფენა-ბაზრობა 24-27 სექტემბერს გაიმართა. გამოფენას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე დაესწრო.

ინტერპრესი

სხალ სფფ-ს ყრილობა

სამინისტრო მხარეებს მოუწოდებს ახალგაზრდობის პირად ინტერესებში

ბოლო პერიოდში სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნების ირგვლივ განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით, საზოგადოებაში არსებული მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია.



ლობის საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვთ და ამის ნათელი მაგალითია თბილისში UEFA-ს სუპერთასის მატჩის მაღალ დონეზე ჩატარება.

ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარება UEFA-ს სტანდარტების სრული დაცვითა და მასთან მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი.

აქედან გამომდინარეობდა სამინისტროს მყისიერი რეაგირება UEFA-ს წერილზე, რომელშიც დაფიქსირებული იყო პოზიცია სახელმწიფოს მხრიდან საარჩევნო პროცესებში შესაძლო ჩარევის შესახებ, რასაც სპორტისა და

ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მკაცრად ემიჯნება.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რეაგირების გარეშე დატოვა ჩვენს მიერ 16 სექტემბერს მიწერილი ოფიციალური კორესპონდენცია, რომლის ასლიც UEFA-ში გადაიგზავნა და ვერ შეძლო ერთი ფაქტის მოწოდებაც კი, რაც სახელმწიფოს მხრიდან საარჩევნო პროცესში ჩარევას დაადასტურებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფედერაციის ხელმძღვანელების ქმედებას ვაფასებთ მცდელობად, შეცდომაში შეიყვანოს UEFA, ქართული საფეხბურთო საზოგადოება და მედია.

იმედს ვიტოვებთ, რომ სფფ-ს აღმასრულებელი კომიტეტი, ნაცვლად პირადი ინტერესებისა, გაითვალისწინებს UEFA-ს რეკომენდაციებს, დაიცავს სრულ ნეიტრალიტეტს მოახლოებულ არჩევნებში და იმოქმედებს კანონის უზენაესობის პრინციპების გათვალისწინებით.

ჩვენის მხრივ, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ვინარჩუნებთ სრულ ნეიტრალიტეტს და გამოვხატავთ მზადყოფნას, შევიტანოთ მნიშვნელოვანი წვლილი ქართული ფეხბურთის შემდგომ განვითარებაში.

ვიტალი ჯაფარიძე

ძიულო

ახალ რეგულაციებზე



გშშინ საქართველოს ძიულოს ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა შედგა. მისმა წევრებმა მიიწვიეს ძიულოს ფედერაციის პრეზიდენტის დავით ქვეციშვილის წარმოდგენილი ახალი პროექტი „ერთად აღვზარდოთ მომავალი ჩემპიონები“, რომელიც ითვალისწინებს რეგულაციებში მოვარჯიშე ახალგაზრდა ძიუდოისტებისთვის ერთობლივი წვრთნების მოწყობას თბილისის ძიულოს აკადემიაში.

აღმასკომმა იმსჯელა საქართველოს ჩემპიონატის ახლებური სისტემის შესახებ და გადაწყვიტა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ჩატარდება შესარჩევი ტურნირები 2015 წლის საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

ბანუზარ ბიორბაძე

ტრადიცია

გორელთა ენკენისთვა

სამტკობაშვილი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონმა გორის „დილაში“ ეროვნულ ჩემპიონატში ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის უშუალო კონკურენტი თბილისის „დინამო“-2:0 და სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში. ბუნებრივია, ამ ფაქტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ტრადიციული გამოკითხვის ბედი, რომელსაც პროპულარული სპორტული

გაზეთი „ლელო“ პროექტის ავტორთა ტრადიციულად ერთად ყოველი თვის შედეგების გათვალისწინებით აწყობს კოლეგიათა შორის.

ამჯერად ჟურნალისტებმა უპირატესობა სწორედ შიდა ქართულ ლეგს უჩა სოსიაშვილს (ნომინაცია საუკეთესო მწვრთნელი) და ირაკლი მოდებაძეს (ნომინაცია საუკეთესო ფეხბურთელი) მიანიჭეს. გუშინ წიგნის მალაზიათა ქსელ „ბიბ-

ლუსის“ ერთ-ერთ ობიექტზე (ჭავჭავაძის 7) მათ სპეციალური პროზები „ლელოს“ მთავარმა რედაქტორმა თენგიზ გაჩეჩილაძემ და ტყავის ბურთის დიდოსტატმა გრიგოლ ცაავამ გადასცეს. ღონისძიებას ორგანიზატორისა და სპონსორის – „ლიდერების“ სახელით ტელეკომუნიკატორი გიგა გვენცაძე უძღვებოდა, ხოლო შეკრებილთა მამადარი საფეხბურთო მოღვაწე ბურაბ პეტრიაშვილი მიესალმა.

გიორგი შოთაძე



როგაზრთი

სორვატიული ბარიერი ვერ გადალახა

კუალა-ლუმპურში (მალაიზია) მიმდინარე როგაზრთულ ვაშთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 1.041.540 დო-

ლარი) ძირითად ბადეში ჩაება თბილისელი ნიკოლოზ ბასილაშვილი. მსოფლიო რეიტინგით 95-ე საფეხურზე მყოფმა 23 წლის ქართველმა სტარტზე 28 წლის ყაზახ ალექსანდრ ნედოვესოვს (რეიტინგით - 115-ე) აჯობა - 6:3, 1:0 (ტრავისის გამო მეტოქემ ორთაბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო) და მეორე წრეში 36 წლის ხორვატ ივო კარლოვიჩს (მე-18) შეხვდა. მესამე ნომრად განთავსდნა ზაგრებელმა როგაზრთელმა ჩვენებურს 2:1 (7:5, 4:6, 6:3) სძლია (საგულს-სმო, რომ კარლოვიჩმა ქართველს წლეულს 7 იანვარს დოჰაშიც (ყატარი) მოუგო - 7:6, 6:3). ამ წაგების მიუხედავად, ბასილაშვილმა 20 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.

გივი ბაგუა



რალა გვიჭირს

ფიფას რეიტინგში სხვადასხვა ნაკრებმა 37 საფეხურით აიწია

ფიფამ ეროვნულ ნაკრებთა ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 37 საფეხურით მაღლა აიწია. ამჟამად კახა ცხადაძის გუნდი 308 ქულით 110-ე ადგილზე იმყოფება.

შეგახსენებთ, რომ სექტემბრის თვეში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა შინ 1:0 დაამარცხა შოტლანდია, სტუმრად კი ანალოგიური ანგარიშით ირლანდიასთან დამარცხდა.

რეიტინგს არგენტინა ლიდერობს, მას მოჰყვება გერმანია, ხოლო მესამე ადგილს ბელგიის ნაკრები იკავებს.

ზადრი იაშვილი



ჭადრაკი

სომეხიკის ეპროპული ოქრო

10 დღის განმავლობაში სორვატიული პორტის 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობას მასპინძლობდა. ქართველთაგან (18 მონაწილე) 18-წლიანებში ნინო სომეხიკმა იყოჩაღა: ბოლო ტურის წინ იგი შვიდი ქულით ერთპიროვნულად დანიშნურდა და უახლოეს მეტოქე ევა ჰარაზინსკას (პოლონეთი) ნახევარი ქულით უსწრებდა. ბოლო ტურში ორივემ წარმატებით ითამაშა: სომეხიკმა ადელა ველიკიჩის (სერბეთი) სძლია, ხოლო პოლონელმა ნორვეგიელი მონიკა მაჩლიკი დაამარცხა. საბოლოოდ ქართველმა მოჭადრაკემ ცხრა შესაძლებელიდან რვა ქულით ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. 7.5 ქულით ვერცხლის მედალი ჰარაზინსკას ხვდა, 6.5 ქულით კი მესამეზე ტიჯანა ბლაგოიევიჩი (ჩერნოგორია) გავიდა.

სამწუხაროდ, დანარჩენი ქართველი მოჭადრაკეები საპრიზო ადგილებს ვერ შესწვდნენ.

ჩვენებურთა ბოლო ტურის შედეგები: 8-წლიანები: მარიამ გაბელაია - ნანი გვათუა (საფრანგეთი) 0:1, ნურთაჟ ჰეიდარლი (აზერბაიჯანი) - მარიამ გვათუა 1:0, ედუარდ ბალაიანი (რუსეთი) - გიორგი სანიკიძე 0:1.

10-წლიანები: თამარ თასოშვილი - მილენა გასპარიანი (სომხეთი) 0.5:0.5.

12-წლიანები: ევატერინე ფიფია - დეფნე სადე (თურქეთი) 0.5:0.5, კავაბ აილიქელი (თურქეთი) - ნიკოლოზ კაჭარავა 0.5:0.5, ალექსანდრ დაიშმანი (სლოვენია) - ნიკა კველიშვილი 0:1.

14-წლიანები: ლილე ქორიძე - მარინა გაიკინა (სერბეთი) 0:1, მაია ბეჭვავია - სილვია ალბი (იტალია) 1:0, ქუენ ბარი (საფრანგეთი) - ნიკოლოზ პეტრიაშვილი 1:0, გიორგი სტოლერი (რუმინეთი) - ნიკა ხვადაგანი 1:0.

16-წლიანები: მიქაელა ებელინი (ფინეთი) - ნატა ჯიბუტი 0.5:0.5, ირაკლი ახვლედიანი - მარინ დენი (დანია) 1:0.

18-წლიანები: ნინო სომეხიკი - ადელა ველიკიჩი (სერბეთი) 1:0, კიმია სადაჯი (ნორვეგია) - მარიამ ჭოლაძე 0:1, იოჰან სალომონი (ნორვეგია) - ნოე თუთისანი 1:0, სებასტიან კრისტინანსენი (ნორვეგია) - გიორგი სიბაშვილი 0:1.

ქართველთა საბოლოო მონაგარი: სომეხიკი - 8, სანიკიძე - 6, ფიფია, კაჭარავა, სიბაშვილი - 5.5-5.5, გაბელაია, გვათუა, ქორიძე, პეტრიაშვილი, თუთისანი - 5-5, ბეჭვავია, ხვადაგანი, ახვლედიანი, ლიჩინი, ჭოლაძე - 4.5-4.5, თასოშვილი, კველიშვილი, ჯიბუტი - 4-4 ქულა.

ლაშა დიდი

სურათში: ნინო სომეხიკი.



გეთი) - ნიკოლოზ პეტრიაშვილი 1:0, გიორგი სტოლერი (რუმინეთი) - ნიკა ხვადაგანი 1:0.

ფეხბურთი

ისსენ დამრიბებელი

„სირიბა“-ში უღიმღამო თამაშის გამო ტურინის „უფენტუსის“ თავკაც მასიმელიანო ალფერის კლუბის შეფებმა ულტიმატუმი წაუყენეს - თუ უახლოესი ორი მატჩიდან შენი განვრთნილი გუნდი ერთ-ერთს მაინც წააგებს, უმუშევარი დარჩები.

ვერ გეტყვი, რამდენად იმოქმედა ასეთმა მუქარამ „ბებერი ქალბატონის“ საბრძოლო სულზე, მაგრამ ფაქტია, რომ მან პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა და დამდეგ უქმეებზე „ბოლონისთან“ შეხვედრამდე დამრიგებელს პოსტი შეუნარჩუნა.

საუბარია ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მეორე ტურის ჯახზე „სევილიასთან“, რომელიც იტალიელებმა „სევილიას“ ერთი ამოსუნთქვით მოუგეს - 2:0 და ქულათა მაქსიმუმით ერთპიროვნულად ლიდერობენ საკუთარ კვარტეტს.

იმავე დღეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი მოხდა შედეგთში, სადაც მადრიდის „რეალის“ ცოცხალმა ლეგენდამ კრიშტიანუ რონალდუმ „მალმიოსთან“ ვიზიტი „დუბლით“ აღნიშნა - 2:0 და კარიერაში 500 - გოლიანი ზღვარი გადალახა.

„მანჩესტერი“ - „ვოლფსბურგი“ 2:1, „შანტარი“ - „ბსე“ 0:3, „ასტანა“ - „გალათასარაი“ 2:2, „ატლეტიკო“ - „ბენფიკა“ 1:2, „ცსკა“ - „ეინდჰოვენი“ 3:2, „გლადბახი“ - „სიტი“ 1:2.

კოზა კოზახიძე



ეპიტაფია

სანამ საქართველოში ლხინი და სიმღერა იქნება, უნდა იქნები...

ვანიკო (ივანე) მაჭავარიანის ხსოვნას

კიდევ ერთმა უბნო ქართველმა ვაჟ-კაცმა გააბიჯა გაღმა სოფელში და თავისი კაცურკაცობით გამაზრებული სული შეუერთა ჩვენთა დიდ წინაპართა ნათელ სულს...



ვანიკო მაჭავარიანი თავის შვილთან შვილთან მიხილთან ერთად, რომელიც ახლა უკვე თხუთმეტი წლისაა. სიცოცხლე გრძელდება...

დიახაც ასეთი სიცოცხლის, ამღერებული სიცოცხლის შვილი იყო ვანიკო მაჭავარიანი, თავისი დროისა და ქვეყნის წინაშე ჭეშმარიტად ვალმოხდელი მამულიშვილი, ვინც ახლა, ამ უბარაქო წუთისოფლის სუფრას გაცილებული, მარადიული სიყვარულის აყვავებულ სუფრას უზის ყოველი ჩვენგანის გულში.

მაგრამ აქვე ისიც მწარედ უნდა ითქვას, რომ უვანიკოდ ჩვენებურ სუფრასა და ლხინს ის ეშხი და ის პენი აღარ ექნება. ვანიკოს იმ ქვეყნად გადასვლამ ნამდვილად დააოხრა თბილისური სუფრაც და თბილისური ლხინიც... თბილისმა ხომ თავისი კიდევ ერთი მართლაც საპატიო მოქალაქე დაკარგა.

აგერ, ახლა, ოქტომბერში, მეოთხმოცე წელიწადი უნდა ჩამოეკრიბა ვანიკოს. ამ ოთხმოცი გრძელი წელიწადიდან, ალბათ, სამოცი, მეტი, თუ არა, სულ ტკბილი სიმღერ-სიმღერით გამოიარა. ვანიკოს ხავერდოვანი ბარიტონი დიდხანს, ძალიან დიდხანს დაატკბობს მრავალი ადამიანის სმენას... განა შეიძლება ჯანო კახიძის მიერ შექმნილი „შვიდკაცას“ დავიწყება, რომელმაც ჯერ კიდევ 1957 წელს მოსკოვის საერთაშორისო ახალგაზრდულ ფესტივალზე გაიმარჯვა და იქ მოპოვებული ოქროს მედლის დიდი წილი სწორედ ვანიკო მაჭავარიანზე მოდიოდა. ის ასევე წარმატებით მღეროდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ანსამბლშიც.

თუ აღმოსავლეთში დედას ლევანა იყო, ხოლო დასავლეთში დანიელა ურია, რომლისთვისაც ტაში თვითონ აკა-

კი წერეთელს დაუკრავს, თუ ხალხის გულს მალამოდ ედებოდა დები იშხნელების სიმღერა, ნამდვილად წარმოუდგენელია მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის თბილისი, თუ არა ვანიკო მაჭავარიანის გულსგულში ჩამწვიდომ უჩვეულოდ ტკბილ, უბადლო ხმასთან ერთად... ის მხოლოდ სიმღერას რომ გაჰყოლოდა, ალბათ, არავისზე ნაკლები სახელგანთქმული ბარიტონი არ დადგებოდა.

მაგრამ არა, ის მარტო ტკბილ ხმათათვის არ იყო ამ ქვეყნად ღვთისგან მოვლენილი. ვისაც მეორე ადამიანისგან სწავლის თავი და ნიჭი აქვს, ვანიკოსგან უნდა ესწავლა უტყუარი კაცობაც, ვაჟკაცობაც, მეგობრობაც, ზრდილობაც, ოჯახიშვილობაც, მოყვასის პატივისცემაც და სიყვარულიც, გაჭირვებულის ხელის აპყრობაც, დიდი ადამიანური ბუნებათანაზიარობაც. ის ყოველთვის მოყვარის ძეხნაში იყო, რომლისთვისაც გზა და ხიდად გადებდა არასოდეს არ გასჭირვებია.

როგორც მეგობრებში, გაშლილ სუფრასთან, იგი სული და გული იყო ასევე სამსახურშიც, იმ ადამიანების წრეში, რომელთა შორის მრავალი წელიწადი ტრიალებდა როგორც მსუბუქი მრეწველობის სისტემის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

განა შეიძლება, რომ შენდა უნებურად არ გაგახსენდეს ვანიკოს საოცარი იუმორით წარმოთქმული რომელიმე ფხიანი გახუმრება, ან, როგორც იტყვიან, ათიანში გარტყმული მოსწრებული სიტყვა, და ლიმილი არ მოგადგეს!

გულში, მართალია, მთელ საქართველოს იტყვება, მაგრამ დედუღეთის ნამდვილი გიჟი იყო, როგორც დროს იხელთებდა, ხარაგაულს მიაშურებდა, სოფელ ლაშეში გარბოდა ბებრისა და ბაბუის საფლავეებს დახედავდა. თავადაც ხომ თავისი ძვირფასი მშობლების იშვიათი შვილი იყო, მერე თვითონ გახდა იშვიათი მშობელი, იშვიათი მამა, იშვიათი პაპა, ბოლოს უკვე თხუთმეტი წლის შვილთაშვილით ამაცობდა...

სხვათა შორის, ზოგიერთივე სულაც არ ეშინოდა სიკვდილისა. ხშირად უყვარდა თქმა, თუკი სიკვდილი საბოლოოდ შენ დაბრუნებაა, უფრო სწორად, არყოფნიდან მოსულნი თუ ისევე არყოფნაში ვბრუნდებით, რატომ არ უნდა გვიჩნდეს ლხინად შენ დაბრუნება, ანუ სიკვდილი, რაც ყოველი სულდგმულისთვის გარდაუვალია. და თითქოს ანდერძად გვიბარებდა, სიკვდილის გამო თავში კი არ უნდა ვიცემდეთ და ვგოდებდეთ, არამედ უფრო აზრიანად და ლამაზად უნდა ვახერხებდეთ სიცოცხლეს, რომელიც ესოდენ ხანმოკლეა და ღირსეულად უნდა ვემზადოთ შენ დასაბრუნებლად და ჩვენს საყვარელ ადამიანებთან შესახვედრად.

აი ასეთი განუმეორებელი ქართველი იყო ჩვენი დაუფიქრარი მეგობარი ვანიკო მაჭავარიანი, რომელმაც მართლაც კაცურად, ნამდვილ ქართველურად მოახერხა აზრიანად და ლამაზად ცხოვრება, სანამ არყოფნის ვარდისფერ გზას დაადგებოდა, ამქვეყნად ოთხი ოცეული წელიწადი მართლაც ვაჟკაცურ შრომაში, ლხინში, სიმღერაში და სიყვარულში განვლო.

ვანიკო, მართალია, დააოხრე შენი დიდებული ოჯახი, დაგვაოხრე ჩვენ, შენი განუყრელი მეგობრები, მაგრამ საქართველოში სანამ ლხინი და სიმღერა იქნება, შენც იქნები. ასე რომ, არსადაც არ მიდიხარ, კვლავ ჩვენთან რჩები...

ლევან შაჩიაშვილი; დავით ციციშვილი; ნუზარ შიშინაძე; გურამ კალანდიაძე; ანრიკო ხახტაძე; ივანე საყვარელიძე; გიორგი ბაბასკინია; ამირან, ოთარ წარმოქმნი; ვაჟა კირაძე; გიორგი მინდელი; ჯუმაბერ პატიშვილი; ლევან ჯაფარიძე; გიორგი ხარაბაძე; გურამ გომეზიშვილი; გურამ გომეზიშვილი; გიორგი ბაბასკინია; თორნიკე ლალიძე; ნაბი ფაღავე.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ ქიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო მოქალაძე, ივანე საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭიშვილი, იმედა კახიანი, როლანდ იოსელიანი, ჯუმაბერ გონაშვილი ღრმა მწუხარებით იუნწებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენელი, დედაქალაქის კოლორიტი და შესანიშნავი პიროვნება

ვანიკო მაჭავარიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებსა და მის ახლობლებს.

არდავიწყება

გიორგი დუნდუა

აბაშის საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი გამოაკლდა, გარდაიცვალა აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალური ქონების მართვისა და ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირებისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი გიორგი მინდელის ძე დუნდუა. მისი გარდაცვალება დიდი დასაკლვისა ოჯახისთვის, კოლეგებისა და მეგობრებისთვის.

გიორგი დუნდუა დაიბადა 1949 წლის 23 ნოემბერს, აბაშის რაიონის სოფელ მარანში. დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ - საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა აბაშის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, „სახსოფლტექნიკური ინსტიტუტის“ ინსპექციის უფროსად, მთავარ სახელმწიფო ინჟინერ-ინსპექტორად, „სახსოფლტექნიკური ინსტიტუტის“ მარნის სპეცგანყოფილების მმართველად, მარნის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, საქართველოს პარლამენტის აბაშის რაიონის წარმომადგენლობის წამყვან სპეციალისტად, აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსად, აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური პოლიტიკის, მუნიციპალური ქონების, მიწისა და ბუნებრივი რესურსების განვითარების სამსახურის უფროსად, შემდეგ კი - გამგეობის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსად, ასევე მუშაობდა გამგებლის მოადგილედ.

საქმის ცოდნა, პირუთენელობა, უშუალოება, ერთგულება იყო მისი მთავარი პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ყოფნის დროს. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

გიორგი დუნდუა ყველა მნიშვნელოვანი საქმის ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ, მისმა გარდაცვალებამ უსაზღვრო ვიწროვილი მოუტანა ყველას, დაუღალავი შრომითა და ღვაწლით მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ყველგან... სიკეთის, ადამიანობის კვალი... იგი განვლილი ცხოვრების გამოცდილებას უზიარებდა უმცროს კოლეგებს, ყველას ჭირისა და სიხარულის მოზიარე იყო.

გიორგი დუნდუა არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, ბაბუა გახლდათ, ნამდვილი ქართული ოჯახის ღირსეული თავკაცი. მისი მეუღლე ქალბატონი დარეჯან ელიაძე, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების უფროსი, პატივსაცემი ქალბატონია ღირსეულად განვლილი ცხოვრებით. ორი ბრწყინვალე შვილი აღზარდეს: მიხეილ დუნდუა საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და ანალიტიკოსთა დარბაზის უფროსი, ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტია, მარინა დუნდუა კი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ უფროსი სპეციალისტი, ჰყავთ ასევე შესანიშნავი ოჯახები, შვილები. მათთვის ბატონი გიორგი გარდაცვალება მოუშუშებელ ჭრილობად დარჩება.

გიორგი დუნდუამ რჩეულთა ცხოვრებით განვლო სიცოცხლის გზა, ბოლომდე შეინარჩუნა მტკიცე და კეთილშობილური ხასიათი, იგი დააკლდა არა მარტო ოჯახს, მოყვასთ, სამსახურს, რაიონს, შეიძლება ხამამალა ითქვას, იგი დააკლდა ქვეყანას. მისი ნათელი ხსოვნა მარადიულად დარჩება. ღმერთმა საუკუნო სასუფეველი დაუშვიდროს მის სულს.

აბაშის მუნიციპალიტეტის საზოგადოების სახელით ბამბაშა ლა საპრეზულო



აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები იუნწებიან, რომ გარდაიცვალა გიორგი დუნდუა და თანაგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეების სამსახურის თანამშრომლები თანაგრძნობენ დარეჯან ელიაძეს მეუღლის გიორგი დუნდუას გარდაცვალების გამო.

ზაურ, მამუკა, ზალიკო თელიები ოჯახებით მწუხარებით იუნწებიან ღირსეული კაცის, ღირსეული ოჯახიშვილისა და ღირსეული ოჯახის პატრონის გიორგი დუნდუას გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლო ნათესავებს.

დუნდუების და დონდუების საგვარეულო კავშირი ღრმა მწუხარებით იუნწება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა საგვარეულო კავშირის წინამძღოლის მოადგილე გიორგი დუნდუა და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სწორი კვება

რატომბა, რომ ბავშვებს ასეთი ცუდი გამოვლენა აქვთ? რატომბა, რომ ბირში ყველა საზიზღრობას იღებენ, სასარგებლო რაღაც-რაღაცებს კი, რომ იტყვიან, „ცნვირს უბზუებენ“?

ეს პრობლემები ყველა მშობელს ადარდებს, უამრავ ენერჯიას ანარჯინებს კითხვაზე სწორი პასუხისა და მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებაში. ამ საკითხზე სერიოზულად მეცნიერებიც მუშაობენ.

სულ ახლახან, ინგლისის ლაფბოროს უნივერსიტეტის მკვლევარებმა სამეცნიერო ჟურნალ „აპეტატივი“ გამოაქვეყნეს თავიანთი მუშაობის შედეგები, რომლის შედეგად ორიდან 4,5 წლამდე ასაკის ბავშვები წარმატებით მიაჩვიეს მათთვის ესოდენ არასასიყვარულო ბოსტნეულის ჭამას. ყველა მშობელმა კარგად იცის, რომ ტკბილ ხილსა და ლამაზ კენკრას ბავშვები ხალისით შეეცევიან, მაგრამ ბოსტნეულის ჭამაზე რომ მიდგება საქმე, „მონასტერიც მაშინ ირევა“. სტატისტიკოსები აცხადებენ, რომ ამ ასაკის ბავშვები იმ ბოსტნეულის მსოლოდ მესუთეებს იღებენ, რაც მათთვისაა რეკომენდებული. ამასთან, ძალიან ცუდი ასევე ისიცაა, რომ ეს ჩვეულება მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე მიყვებათ, არადა, ეს სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა: ბოსტნეული ჩვენი

„ძრთამიანი“ ჭამა

საკვების უმნიშვნელოვანესი მდგენელია. სწორედ ბოსტნეულია, რომ კიბოსგან, სისხლძარღვთა დაზიანებებისგან, ათასი სხვა სნეულეობისგან გვიცავს, რომელთაგან არაერთის განვითარებას, სხვათა შორის, პატარების ესოდენ საყვარელი ტკბილეული უწყობს ხელს. მაგრამ, უბედურება ისაა, რომ ბოსტნეულის გემო ისეთი მკვეთრი და ხასხასა არ არის, როგორც, ვთქვათ, კანფტის ან ნაყინის აქვს, ამიტომ ბავშვები მათ ჭამაზე უარს ამბობენ პირველსავე დაჭაშნიკებაზე. ბევრნი კი, სულაც, იმ ერთხელაც არ აკარებენ პირს!

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრობლემა არსებობს და მის გადაჭრას ფსიქოლოგები შეუდგნენ, რომლებმაც იმის გზას მიაგნეს, თუ როგორ „აიძულონ“ ასეთი „უგემური“ კიტრი, პომიდორი, ბულგარული წიწაკა, მუხუნო და ჭყინტი სიმინდი (სწორედ ეს ბოსტნეული იყო გამოყენებული ექსპერიმენტში) აჭამონ ბავშვებს.

თავდაპირველად, ეს ბოსტნეული ბავშვების თანდასწრებით — ჯერ მშობლებს უნდა ეჭამათ და რაც შეიძლება მეტად უნდა ექოთ:

სურველი იყო, რომ მისი გასტრონომიული ღირებულება ბავშვსაც შეექო. იმ შემთხვევაში კი, თუ პატარა პირველ (სწორად, მეორე, მესამე, მეოთხე და ა. შ.) ჯერზე რომელიმე ბოსტნეულის ჭამაზე უარს ამბობდა, მშობლები ამას ისევ და ისევ სთავაზობდნენ. ექსპერიმენტი ორ კვირას გრძელდებოდა, რა დროსაც მშობლების მხრიდან მაგალითის მიცემისა და ბოსტნეულის შეჭმის „რიტუალი“ ყოველდღიურად უნდა განმეორებულიყო. უნდა ითქვას, რომ როცა მშობლები ბოსტნეულს არ აქებდნენ და ბავშვს



უბრალოდ სიურპრიზს სთავაზობდნენ, ეფექტი მართალია იყო, მაგრამ უფრო ნაკლები, ხოლო როცა „უჭმელ ჭირვეულებს“ საერთოდ არ „ქრთამავდნენ“, ეფექტი ნულთან იყო როგორც ჩანს, მთავარ როლს მაინც ის სიურპრიზი ასრულებდა. პრინციპში, ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგები რეკლამის სპეცი-

ალისტების ტექნოლოგიებს იყენებდნენ, რომლებმაც საჭიროა მშობლებიც „აღიჭურვონ“. უნდა ითქვას, რომ იგივე მეთოდის წარმატებით გამოყენება შეიძლება საიმისოდ, რომ ბავშვებს სხვა „არასაყვარელი“ საჭმლის ჭამა, ვთქვათ, ფაფების და ა. შ., ვასწავლოთ.

ამ შემთხვევაში დიდ როლს თავად სიურპრიზი ასრულებს, ის პატარა, მარტივი, ლამაზი და ბავშვის გულის გამხარებელი უნდა იყოს, — ამბობს ბავშვთა ფსიქოლოგი იულია გურვიჩი. — მეტად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სხვადასხვა დეტალები — ვთქვათ, კარგი იქნება თითოეული კერძისთვის განსხვავებული თევზის, ჯამის, კოვზის ქონა, რომლებიც პატარას მოსწონს. თანაც კარგი დღიურად უნდა განმეორებულიყო. უნდა ითქვას, რომ როცა მშობლები ბოსტნეულს არ აქებდნენ და ბავშვს

უბრალოდ სიურპრიზს სთავაზობდნენ, ეფექტი მართალია იყო, მაგრამ უფრო ნაკლები, ხოლო როცა „უჭმელ ჭირვეულებს“ საერთოდ არ „ქრთამავდნენ“, ეფექტი ნულთან იყო როგორც ჩანს, მთავარ როლს მაინც ის სიურპრიზი ასრულებდა. პრინციპში, ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგები რეკლამის სპეცი-

მოამზადა ოთარ ტურაბაიძემ

მცირე ენციკლოპედია

თავიანთი თავისთვის

კბტიში, ძალებსაგან განსხვავებით, იშვიათად ეთვისებიან თავიანთ პატრონებს, ვინაიდან მათი უშიშროების გრძნობა არ არის დაკავშირებული ადამიანთან, გამოარკვევის ბრიტანელმა სპეციალისტებმა ლინკოლნის უნივერსიტეტიდან.

მათ ტესტ „უცნაური სიტუაციის“ დახმარებით ანალიზი გაუკეთეს ოჯახის 20 მოზრდილი კატის საქციელს. ტესტი 1970-იან წლებში შესთავაზა ფსიქოლოგმა მერი ეინსვორტმა თვენახევრიდან ერთ წლამდე ბავშვების თავიანთ დედასთან შეთვისების შესასწავლად.

ბავშვს გარკვეული დროის განმავლობაში აშორებდნენ დედას და თვალყურს ადევნებდნენ მის რეაქციას სტრესულ სიტუაციაზე. კატისებრებთან ექსპერიმენტის დროს მკვლევარები შეეცადნენ აღმოეჩინათ ეგრეთ წოდებული შეთვისების საიმედო სტილი. მას ახასიათებს ის, რომ ბავშვი (ამ შემთხვევაში კატა) თავს გრძნობს ხიფათში, როდესაც მას ტოვებს შეთვისების ობიექტი, და უხარია, როდესაც კვლავ შეერთება ხდება.

თუმცა კატები, რომლებიც პატრონებს განაშორეს, არანაირ ემოციებს არ ავლენდნენ. ისინი არ ცდილობდნენ მოექნებნათ თავიანთი პატრონები. მათი პასიურობისა და აქტიურობის სა-

ერთო დონე, აგრეთვე სტრესული ქცევის ნიშნები არ იყო დაკავშირებული პატრონების არყოფნასთან ან მათს შემდგომ გამოჩენასთან. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მიდრეკილება დამოუკიდებლობისადმი შეიძლება კატისებრთა ოჯახის საერთო ხასიათი იყოს.

გავლენას ახდენს გვიწვა

სისხლის ჯგუფი გავლენას ახდენს ტვინის დაბერების სიჩქარეზე, მიაჩნიათ ნეირობიოლოგებს დიდი ბრიტანეთიდან.

დაბერების დროს იცვლება ტვინის მოცულობა, მისი სისხლძარღვთა სტრუქტურა და კოგნიტიური უნარი. მაგრამ ყველაზე უმნიშვნელოვანი ცვლილება — ესაა მისი მოცულობის შემცირება.

მეცნიერებმა შეფილდის უნივერსიტეტიდან ანალიზი გაუკეთეს 189 პაციენტის ტვინის სურათებს, რომლებიც მიიღეს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის დახმარებით, და შეადარეს ტვინის სტრუქტურა სისხლის ჯგუფთან. გამოირკვა, რომ სისხლის პირველი ჯგუფის მფლობელებს გაუმართლათ. მათ ყველაზე მეტი რუხი ნივთიერება აღმოაჩნდათ.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ სისხლის ამ ჯგუფის მფლობელები შეიძლება უკეთ იყვნენ დაცული თავის ტვინის ხანდაზმული ცვლილებებისგან უბრალოდ იმის გამო, რომ მათ თავიდანვე ტვინის მეტი ოდენობა ჰქონდათ და მისი დანაკარგები არც ისე თვალში საცემია.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 293-37-87

ყურადღება! იხილეთ დიდ დილოში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მინის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

პროფესორი მიმართავს სტუდენტს: — სმიტ, გუშინ თქვენ ქალთა საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე შეგნიშნეს, 10 დოლარით ჯარიმდებით, ხოლო თუ კიდევ განხეს აქ, უკვე 25 დოლარის დაჯიჯდებათ. — პროფესორო, ჩვენ საქმიანი ხალხი ვართ: რა ღირს ერთი სემესტრის აბონემენტი?

— შევუდგეთ, არა? ეწვეით? — მთლად არა... — მთლად არა? ეგ როგორ? — როგორ და, პასიური მწვეელი ვარ... სხვები ეწვეიან, მე კი ვსუნთქავ... — გასაგებია, განვადგომო... სექს თუ ეწვეით? — მთლად არა...

ძალი დახლთან დგას. მავანი კაცი მიდის და ეუბნება: — თქვენ ნამდვილად მასწავლებელი იქნებით. — კი, ბატონო. მაგრამ როგორ მისვდით? — ბრიყვის გამოხედვა გაქვთ. ქალი განანწყნდა: — თქვენც ბრიყვულად გამოიყურებით.

პაციენტი მიდის ექიმთან: — ექიმო, რა ვქნა, პიროვნული გაორება მაქვს. ექიმი (კარგა გვარიანად ნასვამია): — გხედავ, გხედავ.

კაცი ნაღვლიანად მიუტებს: — მეც მასწავლებელი ვარ. — გამარჯობა! — გამარჯობათ, ექიმო!

მე ძალიან მომწონს ინტერნეტი. აქ ადამიანები ბევრად უფრო ლამაზები არიან, ვიდრე ცხოვრებაში, ბევრად უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე სინამდვილეში, ბევრად უფრო თამაზები, ვიდრე ნამდვილად არიან. თანაც არა ვარან და არც პასუხს თხოვლობენ.

საქართველოს რესპუბლიკა მარაბლის ქ. №7. გამომცემლობა: შპს „მანაგომი“ 1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“ გ. რობაქიძის №7. მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგუშია 599 36-00-35. პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე.